F28112 14083

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაქალაქი

„დედაქალაქი“ 2001 წელი, №1

ფასი 50 თეთრი

თბილისი - ვუშინ, დღეს, ხვალ...

ზეციერ ოლიმპოსიდან - მიწიერ ოლიმპამდე

პირველად იყო სიტყვა...

პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი - აბსოლუტური ჭეშმარიტება, აბსოლუტური სიყვარული, განკაცდა ღმერთი და ჯვარს გააკრეს იგი, განკაცდა სიტყვა და ბილწიქმნა, კაცთა იარალად, სატანის მსახურად იქცა. „არაფერი პირსა შიგან შემავალი არ წაბილწავს მას, არამედ მხოლოდ გამომავალი“ - ამბობს ბიბლია. სიტყვა ძალაა, უზომოდ დიდი ძალა. მას დაუფლებული მწიგნობარი უფრო საშიშია და ყველა რჯულის დამნაშავეზე უფრო საშიში, ეს მათთვის, ვისაც წიგნიერება სიკეთე ჰგონია მხოლოდ, რამეთუ ცოდნა თუ მას ზნეობა არ უმაგრებს ზურგს, ბოროტებაა; სიტყვა თუ მას სიყვარული არ ახლავს საგზლად, ასჯერ მეტი ბოროტებაა. ზრი სიკეთისკენ თუ არ არის მიმართული, სატანურია, ხოლო სათქმელი, თუ ის დაცლილია ყოველივე ამისაგან, წმინდა წყლის დემაგოგიაა! (გაზეთი „იბერია-თაიმსი“, 1999 წ.„თავისუფალი პრესა თუ მირაჟი“ ქეთევან ჯაყელი)

სიტყვა და საქმე

ყველა დროს თავისი ბუმბერაზი ადამიანები ამშვენებენ, ადამიანი-ძეგლები, კაცთა მოდგმის ის საუკეთესო ნაწილი, რომელიც თავისი ხელით აქანდაკებს საკუთარ კვარცხლბეკს, გულმოდგინედ კვალავს მისკენ მიმავალ ბილიკს და მუდამ შეახსენებს კაცობრიობას, რომ „ადამიანი უფრო დიდია და დიდი რამისთვის შექმნილი, ვიდრე მსახურებაა საკუთარი ლეშის მიმართ“. მათ შორის მხნეობით გამორჩეულნი კი, ამასაც არ ჯერდებიან და უზარმაზარ მონუმენტებად ევლინებიან ქვეყანას. ამგვარ დიდებულ მონუმენტად წარმოგვიდგება გასული საუკუნის ორი ტიტანი, რომელთა მხრებზე იდგა კიდეც, ფაქტიურად, მე-XIX საუკუნე - ილია და დავითი, სიტყვა და საქმე. მხოლოდ ამგვარი დიდებული სიმბიოზის შედეგია, რომ ქართული სიტყვაც გადარჩა და საქმეც, რომლის საკეთებლად კვლავაც დაიბადებიან საქართველოში ჭავჭავაძეები, სარაჯიშვილები...

ეროვნული ლოტარეა!



საშიში თამაშები...

დაგეგმილი პროვოკაცია, ხავერდოვანი რევოლუცია, კიდევ ერთი „ჩათვლა“ თუ „დარდუბალას“ მორიგი სერია თბილისის ქუჩებში?!





647945 ბიბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით შეხვდა დედაქალაქი თბილისობას

მოეწყო აღმოსავლეთმოცდნეობის ინსტიტუტის იაპონური კაბინეტის პრეზენტაცია;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის დათვალიერება;

საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში ჩაბარება (ფალიაშვილის ქ.16);

სპორტული კომპლექსის პრეზენტაცია (ჯიქიას ,5);

გალერეა ,,უნივერსის" გახსნა (კოსტავას, 70);

თბილისის ზოოლოგიურ პარკში აკვარიუმ-ტერარიუმის გახსნა;

საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში ჩაბარება (ნიკოლაძის პირველი ჩიხი, 4);

სასტუმრო ,,პრიმავერა"-ს გახსნა (ქუჩიშვილის, 8);

მსოფლიო ბანკის ,,მუნიციპალური განვითარების პროგრამით" ფეიქრების ქუჩაზე ორი ახალი სატრანსპორტო კვანძის გახსნა;

ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრების გამოფენა, გალერეა ,,ჰობი" (გ. ჭანტურიას ქ, 8);

თეატრ ,,გლობუსის" პრეზენტაცია (გ. ლეონიძის სახ. ბაღი);

არქიტექტურული ნამუშევრების გამოფენა ცისფერ გალერეაში;

სასტუმრო ,,თბილისის" გახსნა;

ვახტანგ ჭაბუკიანის მუზეუმის გახსნა (აღმაშენებლის გამზირი, 83);

თეატრალური მოედნის პრეზენტაცია, ს. ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯში (ჯავახიშვილის, 88);

შიო არაგვისპირელის მუზეუმის გახსნა (გ. ჩუბინიშვილის, 13);

დიდ დიღომში ბუნებრივი აირის გაშვების

თბილისის მთავარი მოედანი - ,,თავისუფლების მოედანი" ახალი, ლამაზი შადრევნით დამშვენდა

პრეზენტაცია;

რაგბის სტადიონის პრეზენტაცია (დიდი დიღომი);

რეკონსტრუირებული სადღესასწაულო რიტუალების სასახლის პრეზენტაცია;

,,თბილისობა 2001"-ის საზეიმო გახსნა – მერაბ სეფაშვილის შემოქმედებით საღამოზე დიდ საკონცერტო დარბაზში;

ზეიმი რიყეზე. მასობრივი სპორტულ-კულტურული ღონისძიებები;

წმინდა ნიკოლოზის სახ. ეკლესიის გახსნა, აეროპორტის დასახლებაში;

ცხრა ყრმა კოლაელთა სახელობის ეკლესიისა და საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობისათვის დაღუპულთა სახელობის ხეივანის გახსნა (ვაზისუბანი, ზ. პატარიძის სახ. ქუჩის მიმდებარე ტერიტორია);

სკულპტურული კომპოზიციის - ,,სულის ამაღლება", გახსნა (ვახტანგ გორგასალის ქ, სამასი არაგველის მემორიალის მიმდებარე ტერიტორია);

თავისუფალი თეატრის პრეზენტაცია (რუსთაველის, 2, გრიბოედოვის თეატრი);

საფეხბურთო ტურნირის - ,,პრეზიდენტის თასის" დასკვნითი ეტაპი, დახურვის ცერემონია (სპორტის სასახლე);

თავისუფლების მოედანზე მოწყობილი შადრევნის პრეზენტაცია;

თეატრალური ფეტისავლი ,,საჩუქარი" აბანოთუბანში;

რეკონსტრუირებული მიქელაძის ქუჩის გახსნა.

მთავრობა გადადგა, პრეზიდენტი პოსტზე რჩება

პარლამენტის თავმჯდომარე, ზურაბ ჟვანიამ საგანგებო ბრიფინგზე აღნიშნა, რომ პარლამენტის წინ მიმდინარე აქცია და სტუდენტთა გამოსვლები სახიფათო ხასიათს ღებულობს და იგი უმართავი არ უნდა გახდეს. მისი თქმით, მან გადადგომის შესახებ განცხადება იმ ბრალდებების გამო გააკეთა, თითქოს ეს პროცესები ხელისუფლებისთვის ბრძოლაა და სხვა არაფერი, - ,,ამას თან დაერთო, აგრეთვე, პრეზიდენტის შეფასებებიც, ამიტომ ჩემი გადაწყვეტილება ყველა გავრცელებული ჭორისთვის წერტილის დასმა იქნება"- აცხადებს ზურაბ ჟვანია. მისი თქმით, არსებული ვითარება ერთი რომელიმე ტელეკომპანიის მიზეზით არაა გამოწვეული, არამედ იმით, რომ საზოგადობას აღარ შეუძლია ყველაფერი იმის მოთმენა, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. ჟვანიამ იმედი გამოთქვა, რომ დღეს მიღებული კარდინალური, ფართომასშტაბიანი გადაწყვეტილებები იქნება გარანტი, საქართველოში გლობალურად ახალი ტიპის სახელისუფლო სისტემების ჩამოყალიბებისა. პარლამენტმა სერიოზულად უნდა განახორციელოს ცვლილებები კონსტიტუციაში და იმსჯელოს მინისტრთა კაბინეტის შექმნაზე. მისი აზრით. ჩვენთვის აუცილებელია ეფექტური მინისტრთა კაბინეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გაგვიჭირდება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, ამიტომ მთავრობის დაკომპლექტებაზე სერიოზული დაფიქრება გვმართებს - უნდა შეიქმნას იმგვარი მთავრობა, რომელიც კლანების გავლენისგან თავისუფალი იქნება. იგი გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა შექმნილ სიტუაციაში თანამდებობა დატოვოს. მისი თქმით, ქვეყნის პრეზიდენტი ვალდებულია დარჩეს თავის თანამდებობაზე და უზრუნველყოს ქვეყნის მშვიდობიანი ტრანსფორმაცია. ,,ამჯერად, პრეზიდენტის გადადგომა იქნება გაუმართლებელი, როგორც პოლიტიკური, ასევე მორალური თვალსაზრისითაც, ეს გამოწვევს დესტაბილიზაციას. პრეზიდენტი ვალდებულია იყოს იმის გარანტი, რომ ყველა ეს სახელისუფლო ცვლილება განხორციელდება კონსტიტუციის ფარგლებში", - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ და კოლეგებს ვითარების განსამუხტავად, ერთსულოვნებისაკენ და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღებისაკენ მოუწოდა.

პარლამენტის, აწ გადამდგარმა, თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეებს ეყოფათ გონება და შეგნება, რომ მტრის წისქვილზე არ დაასხან წყალი. მან, აქვე, დასძინა, რომ მიტინგის შედეგებზე პასუხისმგებლობა თანამდებობის იმ პირებმა უნდა აიღონ, რომლებიც პრეზიდენტს უჩიჩინებდნენ, რომ მას არ გადაედგა არცერთი ნაბიჯი ქვეყანაში შექმნილი ვითარების განსამუხტავად. საგანგებო სხდომაზე გამოსვლისას, ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ის არ აპირებს ბრძოლას იმ ხერხებით, რომლითაც საფრთხე დაემუქრება მოსახლეობას და იმ ყმაწვილებს, რომლებიც პარლამენტის წინ არიან თავმოყრილნი.

საკუთარი ინფორმაცია

პარლამენტის შენობის წინ გამართულ აქციაში სამეგრელოს მოსახლეობა მონაწილეობას არ მიიღებს

სამეგრელოს რეგიონის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე რომან მელია უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს თბილისში პარლამენტის შენობის წინ გამართულ აქციაში მონაწილეობის მისაღებად, სამეგრელოდან, მათი ორგანიზაციის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა აპირებდა ჩამოსვლას.

პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტის შექმნას ითხოვს

დღევანდელი სახელისუფლო ცვლილებების შემდეგ, პრეზიდენტი შევარდნაძე მინისტრთა კაბინეტის შექმნის ინიციატივით გამოდის. სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში პარლამენტს მიმართავს წინადადებით კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რათა დაჩქარდეს მინისტრთა კაბინეტის შექმნის საკითხის განხილვა. ედუარდ შევარდნაძის თქმით, მისთვის მთავრობის დათხოვნა ადამიანური თვალსაზრისით, ადვილი არ იყო, მაგრამ იგი სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არ ელოდა ზურაბ ჟვანიას გადადგომას, თუმცა მის გადაწყვეტილებას ბრძნული უწოდა: ,,ზურაბ ჟვანია ღირსეული თავმჯდომარე იყო და ახლაც ღირსეულად მოიქცა - შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა გავიყოთ, ამიტომ ჟვანიას ქმედება აბსოლუტურად კანონზომიერი იყო", – თქვა საქართველოს პრეზიდენტმა. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ სიტყვის თავისუფლებას საქართველოში არავითარი საფრთხე არ ემუქრება და პარლამენტის წინ თავშეყრილ მომიტინგეებს სიმშვიდისა და სახლებში დაბრუნებისაკენ მოუწოდა.

კოდორის ხეობაში ამჯერად საცხოვრებელ სახლებს ბომბავენ

კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის ინფორმაციით, წუხელ, სოხუმის მხრიდან, კოდორში შემოფრენილი ათი თვითმფრინავი და 5 შვეულმფრენი ინტენსიურად ბომბავდა ხეობას. ემზარ კვიციანის თქმით, თვითმფრინავებმა მარუხის უღელტეხილის მხრიდან დაბომბა სოფლები – აძგარა, ფტიში და რეკვა. ,,ხეობის დაბომბვა ამ წუთებშიც გრძელდება, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლები იბომბება" – განუცხადა მედია-ნიუსს ემზარ კვიციანმა. მისი თქმით, კოდორის ხეობა მოსახლეობისაგან პრაქტიკულად დაცლილია, თუმცა არ არის გამორიცხული მსხვერპლის არსებობაც. ემზარ კვიციანი პროტესტს გამოთქვამს საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, თითქოს ჩეჩენმა ბოევიკებმა აფხაზეთიდან სვანეთში გადაინაცვლეს. ,,ხეობას სწორედ ამ დეზინფორმაციის გამოც ბომბავენ", - მიიჩნევს კვიციანი.

კოდორის ხეობა არ დაუბომბავთ, - აცხადებენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში

გავრცელებული ინფორმაციით, 1 ნოემბრის დილით, დაუდგენელი კუთვნილების თვითმფრინავებმა კვლავ დაბომბეს კოდორის ხეობა. ამ ინფორმაციას არ ადასტურებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომლის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელის, ნინო სტურუას განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს.

რამსფელდის სამიზნე შეიძლება ერაყი აღმოჩნდეს

ამერიკის თავდაცვის მინისტრმა, დონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ იგი არ გამორიცხავს საომარ აქციას ერაყის წინააღმდეგ, იმ ანტიტერორისტული კომპანიის ფარგლებში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ეწევა. მან ეს განცხადება მას შემდეგ გაკეთა, რაც ერაყის ვიცე-პრემიერმა ტარიკ აზიზმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ამერიკა ერაყში სამასი სამიზნის ათასამდე რაკეტით დარტყმას გეგმავს. ამავე დროს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჯეკ სტრომ ამერიკული არხის ,,ეი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ის ვერ ხედავს ერაყსა და თერთმეტ სექტემბერს განხორციელებულ ტერორისტულ აქტს შორის კავშირს. რამსფელდმა იმავე ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში ერაყს ტერაქტების მოწყობა და დამფინანსებელი სახელმწიფო უწოდა. რამსფელდის სიტყვებით, ერაყის პრეზიდენტი, სადამ ჰუსეინი წარმოადგენს საფრთხეს არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, არამედ, სხვა ქვეყნებისთვისაც და სხვებთან ერთად ამერიკის მთავრობაც მოწადინებულია, რომ ჰუსეინი ჩამოშორდეს ერაყის ხელისუფლებას.

მასალები მომზადებულია სააგენტო ,,მედია-ნიუსის" მიერ

ძვირფასო მკითხველო!

გამოვიდა გაზეთი „დედაქალაქი"! იმედი გვაქვს, ჩვენს მრავალფეროვან პრესაში და მკითხველის გულში, იგი, თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს. გაზეთის მიზანი თქვენი მსახურებაა, ამოცანა კი ზუსტად ემთხვევა იმ სურვილებს, თავის თავს, რომ უსურვებდა, გასულ საუკუნეში, ჩვენი სახოგადოების უსაყვარლესი გაზეთი, „ივერია":

„მოგილოცავთ პირველს ნომერს ახალის გაზეთისას, ჩვენს თავს კი მაშინ მოვულოცავთ, როცა ამ წლის დასასრულს, ჩვენი გაზეთი, თავის ეკლით სავსე მანძილს გაივლის ისე, რომ უკეთესის ქართველის იმედს და მოლოდინს არ უმტყუნოს, არ ჩამოურჩეს".

როგორც ხედავთ, გაზეთს, ჩვენი მრავალწახნაგოვანი მასმედიისაგან განსხვავებით, გეზი „უკეთეს ქართველზე", მის გემოვნებასა და ესთეტიკაზე ქონდა აღებული და არა მდარე, სენსაციას დახარბებულ და მუდამ უკმაყოფილო ობივატელზე, რომელსაც მთავარ ამოცანად საკუთარი კეთილდღეობა, მუდამ ჩასაფრებული პოზიცია, ქილიკი და წუწუნი გაუხდია. ამგვარმა ნეგატიურმა მუხტმა, სახოგადოებას არასრულფასოვნების კომპლესი გამოუმუშავა და იმედი საბოლოოდ გადაუწურა. შედეგი?! არნახული მასშტაბების მიგრაცია, წუწუნი და ვაი-ვაში! ვის, ვის და ქართველს სწორედ, რომ არც წუწუნი სჩვევია და არც ფარ-ხმალის დაყრა, ის ჭირშიც მღეროდა და მუდამ ხმალშემართული ებრძოდა მტერს თუ გაჭირვებას, ყველაფრის მიუხედავად ხნავდა, თესავდა და შვილივით უვლიდა ვენახს.

არ გვაქვს უფლება ბოღმიან სახოგადოებად ვიქცეთ, რადგან სხვა ვერავინ მიხედავს ჩვენს ქვეყანას, სხვა ვერავინ იფიქრებს ჩვენს მომავალზე.

ხმამაღალ განცხადებად თუ არ ჩაგვითვლი, მკითხველო, სწორედ ამიტომ გვსურს ილიასეული „ივერია", რომელსაც „ერის წყლული აჩნდა წყლულად" და მუდამ ერის საფიქრალს ფიქრობდა, ჩვენს ორიენტირად, შესაძლოა მიუღწეველ, მაგრამ სასურველ ორიენტირად ვაქციოთ.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ დღეს, ვიდრე ნებისმიერ სხვა დროს, მას მედია, ვერაფრით ვერ იქნება ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი, ვერც უანრობრივ დიფერენცირებას, ანუ ყვითელი პრესისაგან გამიჯვნას და სოლიდური ელფერის შეძენას ვერ მოახერხებს, ვიდრე ქვეყანაში არ განვითარდება ეკონომიკა – გაზეთი, რეკლამამ უნდა შეინახოს, იგი არ უნდა გახდეს პოლიტიკური სპეკულაციების მსხვერპლი. „მაგათ ასავალ-დასავალს ვერ გაიგებ, რადგან, ვისაც რისი შანსი ჭქონდა, ხელიდან არ გაუშვია", „პატარა მავნებლები, რომლებიც ყოველგვარი ანალიზის გარეშე წერენ და ასრულებენ უფალი რედაქტორების მითხოვნებს, რომელთა „რისკი" ანასდაურებადია. გაზეთი, მათთვის მხოლოდ კომერციად ქცეულა, ეს კი იქ, სადაც მხოლოდ ყვითელი პრესის პრინციპებია გამეფებული და არ არსებობს სოლიდური პრესა, რომელიც დაიკვალიანებს სახოგადოებას, დამღუპველია, ამით, ისინი სახოგადოების დაპირისპირებას, პოლიტიკურ თუ მოქალაქეობრივ ინერტულობას, სრულ აპათიას უწყობენ ხელს", - ვწერდი გაზეთ „იბერია-თაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაში, „თავისუფალი პრესა თუ მირაჟი?!", სწორედ ამიტომ არ ხდება ჟურნალისტების რანგირება - პროფესიონალს გაცილებით მეტი უნდა უხადო!

ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ქვეყანაში არც ანალიტიკას, არც სოციალურ თემას (რაც შეეხება ამ უკანასკნელს, აქ უკვე აშკარა გარიგებასთან გვაქვს საქმე ხელისუფლებასა და გამომცემლებს შორის, თქვენ სუ, ჩვენ კი დღგ-საგან გაგანთავისუფლებთ!) გასაქანი არა აქვს ჩვენს პრესაში და თუ იეჭდება რამე, ისიც ერთ, მთლიან, ყვითელ ქვაბში იხარშება. „როდის აქეთ იქცა „რუსთავი-2" სახელმწიფო ტელევიზიად, რომ მისი „აღება", სახელმწიფო გადატრიალებად ფასდება-თქო", - ვკითხე ბატონ გიგი წერეთელს. „რუსთავი-2", სახელმწიფო ტელევიზიაზეც მაღლა დგასო", - მიპასუხა! იგივე განაცხადა რომან გოცირიძემაც, ჩვენი „ეკონომიკური რეფორმების" მამამთავარმა, რომელიც ამ „რეფორმების" მარცხის მიუხედავად, ექსპერტად უსის „რუსთავი-2"-ს და, რაც ყველაზე საოცარია, ოპოზიციურ ანრეებს აფრქვევს დღეანდელი ხელისუფლების მიმართ, თუმცა ყველას მშვენივრად ესმის, რომ მისი გამიჯვნა ამ ხელისუფლებისაგან, ისეთივე მიამიტობაა, როგორც იმის მტკიცება, რომ ამ ქვეყანაში „ხავერდოვანი რევოლუცია" შესაძლებელია - აქ, ნებით არავინ დათმობს ხელისუფლებას და ეს ცხადზე ცხადია! ამიტომ კვლავ სიფრთხილე გვმართებს! ბატონმა რომანმა აქვე დამამშვიდა და მითხრა, მალე ყველაფერი დალაგდებაო! ეჭვიც არ მეპარება, უბრალოდ, ბევრზე, ბევრი კითხვები ჩნდება. ჯერ ერთი, წინათ, ამგვარი „ჩპ"-ს დროს, ჩვენი ხელისუფალნი ცენტრში, მოსკოვში გარბოდნენ სიტუაციის განსამუხტავად. ახლა კი, ვგონებ, სამყარო ისე აყირავდა, „ცენტრმა" ადგილი იცვალა და აჭარაში „ამოყო თავი". მართალი ვყოფილვარ, როცა ვამბობდი, არანაირი დაპირისპირება ცენტრსა და აჭარას შორის არ არსებობს, ეს უფრო ალიანსია-თქო, ოღონდ მაშინ ტვირთბრუნვასთან დაკავშირებულ ალიანსზე ვსაუბრობდი! რადა ბევრი გავაგრძელო, ჩვენ კიდევ შორს ვართ რეალობის ზუსტი აღქმისაგან. მხოლოდ ზედაპირს და მასზე, აქოჩრილ ტალღებს ვხედავთ. ვერავინ [illegible] დაბეჯითებით, ვინ რა თამაშს თამაშობს და რაზე აყენებს ფსონს, ერთი კი ცხადია, ჩვენს მოუხელთებელ და დაუგეგმავ სინამდვილეში, ყოველი ამგვარი გრადაცია, საშიშ თამაშებად იქცევა ხოლმე და ეს დროა ყველამ კარგად გააცნობიეროს - მთავარი, რა თქმა უნდა შედეგებია! ვშიშობ, გველის წელიწადში, გველისპერანგივით ტყავგამოცვლილნი და თანმდევი ეიფორიიდან გამოსულები, უარესი რეალობის წინაშე არ აღმოჩნდეთ. აფხაზეთს ვიღა ჩივის, კოდორიც უკან არ დაგვრჩეს!

მივუბრუნდეთ ჩვენს მთავარ საოქმელს - დღეს საგაზეთო გამოცემების უმრავლესობას მხოლოდ ყვითელი და ბულვარული პრესის ხერხებით უხდებათ საგამომცემლო ბაზარზე თვითდამკვიდრება, სავალდებულოდ, არც სახელმწიფო და აღარც სამხედრო საიდუმლოების დაცვას არ თვლიან, იმდენად „დემოკრატიულები" არიან; არადა, აფხაზეთში ჩვენ ჯერ საინფორმაციო ომი წავაგეთ და მერე ფიზიკური - სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა მოუზომელი სიტყვის მავნებლობაზე და საბავშვო ბაღებად ქცეულ ტელევიზიებზე ვსაუბრობდი ზემოთხსენებულ სტატიაში. სხვათაშორის, იაპონიაში, 20 წლამდე ახალგაზრდა სახოგადოებაში არ მიჰყავთ, უმწიფარია და შეაწუხებს ვინმეს თავისი გაუაზრებელი ქმედებითო! ეს ყველაფერი მათ სახიანოდვე იმუშავებს 'უახლოეს ხანში, თუკი ეს მომენტი უკვე არ დადგა! ყველაფერს შეჩვეულ მკითხველს უკვე ჭეშმარიტი სიმართლით თუ გაიცვირვებ, თორემ რომელიმე უცხოპლანეტელიც რომ ჩამოუვლია და დაუსვა ცხვირწინ, მორიგ ტრიუკად ნაგითვლის!

სწორედ ამიტომ, ვაცნობიერებთ რა შექმნილ სიტუაციას, თხოვნით მივმართავთ სახოგადოებას, არ აყვნენ მორიგ პროვოკაციას, რომელიც ისევ და ისევ ნაცნობი სცენარით ვითარდება და რომელსაც ნებისმიერმა ძალამ შეიძლება სასურველი კალაპოტისკენ უქნას პირი - „პერესტროიკის" შემდეგ სულ პოლიტიკანთა ყველაზე დიდი დანაშაული, საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად, ჩვენი ახალგაზრდების სასარგებლე ხორცად გამოყენების მავნე პრაქტიკა!

იმედი გვაქვს, ჩვენს ხალხს, ამჯერად მაინც ეყოფა კეთილგონიერება და ქვეყანაში საღი აზრი გაიმარჯვებს!

გაზეთ „დედაქალაქს" რედაქცია კი, თხოვნით მიმართავს, ჩვენში სანთლით საძებარ მეცენატებს, ქველმოქმედებს, ბიზნესმენებს, თუკი საინტერესოდ მიიჩნევენ ჩვენს წამოწყებას, დაგვიდგნენ მხარში და აღმოგვიჩინონ დახმარება, ყველა შესაძლო ფორმით. მოვუწოდებთ ქალაქის სამრეწველო-საგაჭრო და სხვა სახის დაწესებულებებს, განათავსონ რეკლამა ჩვენს გაზეთში, რომელიც იმედია, სულ მალე იპოვის გზას ჩვენი თანამოქალაქეების გულებისაკენ!

ჩვენი ტელეფონებია: 96-04-94; 99-57-09.

ქეთევან ჯაყელი

თბილისის ძველი უბნები

შორეულ წარსულში თბილისი პატარა სოფელს წარმოადგენდა. მის გარშემო არსებულ ქალაქებში (მცხეთა, სარკინეთი, უფლისციხე, რუსთავი, სამშვილდე) საქალაქო ცხოვრება კარგად განვითარებული ყოფილა. იმხანად, ქართულ ქალაქებში მცხეთა თავკაცობდა და აკი ითვლებოდა „სახლად სამეფოდ".

როგორც ისტორიული ანალები და არქეოლოგიური გათხრები მიგვანიშნებენ თბილისს ტერიტორია 5-6 ათასი წლის წინათაც მჭიდროდ დასახლებული ყოფილა. ბუნებრივ-გეოგრაფიულ მდებარეობას იგი ჩვენი წედთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში ციხე-ქალაქად უქცევია. როგორც „ქართლის მოქცევის" ქრონიკის ავტორი, ლეონტი მროველი გვაუწყებს, იგი სპარსეთის პიტიახშს აუშენებია „ციხედ მცხეთისა". სჩანს, თბილისს, მის ციხეს, თავდაპირველად, მცხეთის მისადგომების დაცვა ევალებოდა.

მოვუსმინოთ ვახუშტი ბატონიშვილს: „ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი... პირველ იყო დაბა. მეფე ვარაზბაკურის უამსა შინა აღაშენა შურის ციხე, მცხეთისათვის, ერისთავმა სპარსმან. შემდგომად გორგასალ დადვა საფუძველი და დაჩიმ, მეფემან, ჰქმნა ქალაქად და ტახტად მეფეთა... ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვითკირისანი არიან. ჰავით არს მშვენი და მხიარული, ერნი მშვენიერნი და მშვიდნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი. გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილთა და ყვავილთა სავსე, განა – ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნი... გაჰაფხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო".

ქალაქის ისტორიის კვლევისასთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი გარეუბნების, ქალაქისპირა სოფლების – აგარაების ისტორიის შესწავლას. აგარებს ქალაქის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა. ისინი ქალაქის ჭირ-ვარამის თუ ლხინის მოზიარენი და მოჭირნახულენი იყვნენ. ყოველ უბანს ქალაქის ისტორიაში თავისი წილი უდევს. ქალაქის აღზევება თუ დაცემა გავლენას ახდენდა მის განაპირა სოფლებზე და პირუკუ. ქალაქი ტერიტორიულად იზრდებოდა გარეუბნებისა და მის პირას მდებარე სოფლების ტერიტორიის ხარჯზე.

ამჯერად, თბილისის ერთ-ერთ უბანზე, კერძოდ გარეთუბანზე მოგითხრობთ. რომელიც ქალაქის ჩრდილოეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ეწოდებოდა: „ქ. გარეთუბანს კალოუბნის აქეთ ნასახლარი რომ არის" – ვკითხულობთ მე-16 ს., კერძოდ, 1562 წ. შედგენილ სიგელში. ვახუშტი, თავის თანადროულ ქალაქზე საუბრისას, გარეთუბანს ქალაქის შემადგენელ ნაწილად ასახელებს. ახლა, როცა მიახლოებით ვიცით ქალაქის ჩრდილოეთის კედლის მდებარეობა, საინტერესოა, ქონდა მას კარი დატანებული თუ არა?

ისტახარი ძველი თბილისის მხოლოდ სამ კარს ასახელებს, ტაბარი (მე-10 ს.) კი ხუთ კარს და მათ სახელებსაც გვამცნობს. ესენია: „კარის კარი", „რაბადის კარი", „სოღდებილის კარი", „მცირე კარი", „მაიდანის კარი". არაბ გეორგაფოსის მიერ ჩამოთვლილი ქალაქის ხუთი კარიდან ამ შემთხვევაში გვაინტერესებს „რაბადის კარი". როცა შ. მესხია ჩამოთვლილ თვითოეულ კარს ქალაქის ზღუდეში მიუჩენს თავთავიანთ ადგილს, ამბობს: „რაბადის ანუ ციხის კარი" ციხეს აკავშირებდა ქალაქთანო.

ო. ცქიტიშვილს, ტაბარის ცნობიდან გამომდინარე, „რაბადის კარი" მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადააქვს და სოღდებილში ათავსებს.

ტერმინი „რაბადა" ადრე შუასაუკუნეებში იხმარებოდა ქალაქის გარეუბნის, ქალაქის გარეთა კედლის, სახელოსნო, სავაჭრო ანდა სასოფლო-სამეურნეო უბნის აღსანიშნავად. რაბადა შეიძლება ყოფილიყო ზღუდეშემოვლებული და შემოუზღუდავიც. ამასთან დაკავშირებით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ არცერთ მკვლევარს, რომელიც კი შეხებია ტაბარის მიერ ჩამოთვლილი ხუთი კარის ქალაქის ზღუდეში განლაგების საკითხს, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ კედლისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

ატ-ტაბარი თბილისის ზღუდეში დატანებული ხუთი კარის ჩამოთვლისას საათიის ისრის მიმართულებას მიჰყვება, არაბი გეოგრაფოსი იწყებს თბილისის აღმოსავლეთით მდებარე კედელში დატანებული „მაიდნის კარი"-თ. შემდეგ ასახელებს: სამხრეთით მდებარე „კარის კარს", ჩრდილო-დასავლეთით მდებარე „მცირე (პატარა) კარს", ჩრდილოეთ კედელში დატანებულ „რაბადის" ანუ „გარეთუბნის კარს" და ბოლოს, სოღდებილის კარს.

თბილისის გარეთუბანი პირველად მე-16 საუკუნის გაცემულ წყალობის წიგნში გვხვდება, ამის შემდეგ თითქმის საუკუნენახევარი, გარეთუბნის შესახებ დოკუმენტური მასალა არ მოიძებნება. სამაგიეროდ, მე-18 საუკუნეში გარეთუბნის შესახებ ცნობები მრავლადაა, როგორც იმ დროის სიგელ-გურჯებში, ასევე სპეციალურ ლიტერატურაში. ვახუშტის მიერ შედგენილი „თბილისის 1735 წლის გეგმა" გარეთუბნის ტერიტორიის განსახლების და მისი საზღვრების დადგენაში გვეხმარება. გეგმის მიხედვით ამ უბნის საზღვრები დღეს ასე უნდა წარმოვიდგინოთ: აღმოსავლეთით – მდ. მტკვარი, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – დადიანის, პუშკინის და ბარათაშვილის ქუჩები (ძველად, პუშკინის და ბარათაშვილის ადგილას ავანაანთ-სოლოლაკის ხევი იყო), დასავლეთით - მთაწმინდა და ჩრდილოეთით – ჯორჯიაშვილის ქუჩის მიდამოები.

გეგმით, ვახუშტის დროინდელი გარეთუბანი მჭიდროდაა დასახლებული. ამაზე მეტყველებს დოკუმენტზე დატანებული საცხოვრისის აღმნიშვნელი უჯრედების სიმჭიდროვე და სიხშირე. გეგმის მიხედვით, მოსახლეობა ქალაქის გალავნის სიახლოვეს ზის. მჭიდროდ დასახლებული ტერიტორია აწინდელ ფურცელაძის სახელობის ქუჩამდე აღწევდა. დაუსახლებელი ჩანს სოლოლაკის უბანი, სადაც

გაშენებულია მეფის, დედოფლის. მამასახლისის, თბილელის ბაღები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1803 წელს, დარეჯან დედოფალი თავის ასულს, თეკლა ბატონიშვილს, მზითევში აძლევს გარეთუბანში მდებარე „დედოფლის" ბაღის ნაწილს. სოლოლაკში ბაღები, მეტწილად, მეფის ოჯახისა იყო, ნასყიდობის ობიექტად ისინი არცა ქცეულან და ამიტომ არც დოკუმენტურ მასალაში ასახულან.

გარეთუბანში სახლები ჰქონდათ: არაგვის ერისთავს (იდგა საქართველოს მუზეუმის შენობის ადგილას), ციციშვილებს (უნდა მდგარიყო ოფიცერთა სახლის მახლობლად), აბაშიძეებს ყაბახის მახლობლად, ხერხეულიძეებს, თუმანიშვილებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მასალა მოამზადა
ალექსანდრე გურულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვებედის ვარსკვლავის „ლამაზი გენერლის" 100 წლის იუბილე

მალე, საქართველოს ცხენოსანთა დიდი ოჯახი, „ლამაზ გენერლად" მონათლული, ჭეშმარიტი მამულიშვილის, კაპიტონ ნაჭყებიას

კაპიტონ ნაჭყებია

100 წლის იუბილეს იზეიმებს. უამრავ საქმეებთან ერთად, ამ ბარაქიან და მადლიან კაცს, ძალისხმევა არ დაუშურებია, რომ წმინდა გიორგის მიერ მადლცხებული ერი კვლავ ცხენზე აემხედრებინა, რადგან მიაჩნდა, რომ ქართველი, მისი წმინდა მფარველივით, მხედარი უნდა ყოფილიყო და არა, როგორც

ქუთაისის სათავადაზნაურო
გიმნაზიის პედაგოგები, შუაში ზის
პეტრე ოცხელი

ხშირად ხუმროდა, სახედარი.

კაპიტონ ნაჭყებია – კაცი-ლეგენდა, რომელსაც მისი დროის ძლიერნი ამა ქვეყნისა, უყოყმანოდ ანდობდნენ საკუთარ ძვირფას სიცოცხლეს – თეირანის კონფერენციაზე, 1943 წ., იგი დიდ სამეულს იცავდა, კავკასიონზე თავის სამშობლოს - კაპიტონის მიერ ტყის მილიციელებისგან, სტუდენტ-მასწავლებლებისგან და ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებისგან შექმნილმა ეგერთა კორპუსმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო კავკასიის დაცვაში და მარუხი, ქართველთა გამარჯვების სიმბოლოდ აქცია.

მას ფესვები ჯანსაღ ნიადაგში ედგა, რადგან თავისუფალ საქართველოში მოუწია ცხოვრებამ. იგი სულ სხვა თაობას ეკუთვნოდა, პეტრე ოცხელის მიერ ქუთაისის გიმნაზიაში ხელდასხმულ თაობას, რომელმაც რეპრესიების მიუხედავად, ბოლომდე გულით ატარა თავისუფალი საქართველოს ნაღვერდალივით ცხელი იდეა, რომელიც ზოგჯერ წვავდა, ზოგჯერ კი ფერფლად აქცევდა მისი სურვილით შეპყრობილ ჭეშმარიტ მამულიშვილებს.

სვებედის ვარსკვლავი – ასე უწოდეს მათ თავის გიმნაზიაში ჩამოყალიბებულ ამხანაგობას, რომელმაც ღრმა სიბერემდე უზრუნველყო მათი ვეფხისტყაოსნის გმირების დარი მეგობრობა. წლებმა და ცხოვრებამ მათ სიფრთხილეც ასწავლა, ამიტომ ჩუმად, უხმაუროდ აკეთებდნენ საკეთებელს, ჩუმად და უხმაუროდ, რადგან მათ ყველაზე მთავარი - სამშობლოს სიყვარული ეკრძალებოდათ, ისინი კი, მაინც ჯიუტად აგრძელებდნენ დაწყებულ საქმეს და წამითაც არ ივიწყებდნენ „ვისი გორისანი იყვნენ"...

1918 წელი, საქართველოს დამოუკიდებლობის თარიღი, შალვა მაღლაკელიძის ხელმძღვანელობით გამართულ, სამხედრო-საცხენოსნო აღლუმით აღინიშნა ვაკეში, სადაც, იმჟამად, სამხედრო-სამანევრო პლაცდარმი იყო... იდეა იქვე დაასამარეს ბოლშევიკებმა და ეს ტერიტორია ქართველ პატრიოტთა საძვალედ აქციეს, მაგრამ თავისუფლების იდეა მაინც განაგრძობდა ფეთქვას - ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილი არც იმედს კარგავდა და არც თვით უმნიშვნელო შემთხვევასაც არ უშვებდა ხელიდან, რომ მისთვის ნაღვერდალი არ შეეკეთებინა და არ გაეღვივებინა.

და აი, ისინი, 1948 წელს, ცნობილი იურისტის, პროფეს ნემსაძის ინიციატივით, მალულად თათბირობენ, შობა დღეს, კაპიტონის დაბადების დღის აღსანიშნავ თავყრილობაზე, დამოუკიდებლობის 30 წლისთავის ზეიმით აღნიშვნის შესახებ... მათი სიტყვა და საქმე ერთი იყო, ჩოხა-ახალუხსა და ქართულ, ტრადიციულ ტანსაცმელში გამოწყობილი მხედრობა, ვაკეში, დღევანდელი ლოკომოტივის სტადიონის ტერიტორიაზე, სწორედ იმ ადგილზე და სწორედ იმ დროს, ანუ 26 მაისს, ჯერ ქალაქში, შემდეგ კი მთელ საქართველოში, საზეიმო მსვლელობას და ქართულ საცხენოსნო სანახაობაბს

ისტორიული სურათი: კაპიტონ ნაჭყებია,
ბუდიონს, თავისივე დაპროექტებულ დელისის
იპოდრომისთვის 6 მილიონით „ინვესტირებაზე"
ითანხმებს.

მართავს.

ქართული მხედრული სულის ამ გამოჯირითებამ მაშინ არა მარტო თბილისი, არამედ სრულიად საქართველოც ერთ მუშტად შეკრა. ეს ღონისძიება, „დიდმა კონსპირატორებმა", ჩვენი ერის საამაყო შვილებმა შალვა ნუცუბიძემ და ნიკო კეცხოველმა, ამ იდეის სისრულეში მომყვანმა, იმ დროს საქართველოს მილიციის კომისარმა, კაპიტონ ნაჭყებიამ და ქართულმა

კახეთის გუნდი, 1949 წ. ლაშქარს
მოუძღვის ფორე მჭედლიშვილი

ინტელიგენციამ, ბერიას პრიზის გათამაშებად მონათლეს. იმ წელს მათ ეს შერჩათ კიდეც, მომავალ წელს კი, როცა გათამამებულებს ამ აქციის განმეორება სურდათ, პარტიისა და ხელისუფლების რისხვა დაატყდათ თავს – შალვა ნუცუბიძეს ლამის ფაშისტობა დასწამეს, ნიკო კეცხოველს „კოჯრის ტყის სიზმრები" გაუხსენეს, ქართველ ინტელიგენტთა ოჯახებს კი საძროხე ვაგონები გაუმზადეს. დაიწყო 50-იანი წლების რეპრესიები, რასაც ჯერ ყაზახეთში დეპორტაცია, შემდეგ კი, ე.წ. „მეგრელთა საქმე" მოჰყვა. კაპიტონ ნაჭყებია, 1949 წლიდან, ცხოვრების ბოლომდე დევნილ

ოცხელის გიმნაზიის აღზრდილების,
„სვებედის ვარსკვლავის" ამხანაგობის
წევრთა ბოლო თავყრილობა, 1968 წლის
26 მაისს, იპოდრომზე

გენერლად იქცა.

ზუსტად ათი წლის შემდეგ, 1958 წელს, თავისუფლების 40 წლის აღსანიშნავად (თუ პირიქით, ხალხის ყურადღების გადასატანად, ჩემს ახალგაზრდობაში ამას მშვენივრად ახერხებდნენ ერთი ცნობილი გადაცემის, „ილუზიონის" მეშვეობით – ავტ.), ისევ დიდი ღონისძიება ტარდება – საქართველო, თბილისის დაარსების 1500 წლისთავს აღნიშნავს, თუმცა მისი დაარსების ზუსტი თარიღის დადგენა, ალბათ, ყველაზე „მჩქეფარე ფანტაზიის" პატრონსაც გაუჭირდება.

აი, სწორედ აქ, დღეს ასე ავადსახსენებელი საირმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ანუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარის მხედრობის საბურთალოზე, დაიბადა კიდევ ერთი ლამაზი დღესასწაული – დელისობა, დღევანდელი თბილისობის წინამორბედი. თამარს, რომ მხედართა საასპარეზოდ საგანგებო იპოდრომი ჰქონია გამართული, ამას შავთელის ლექსიც ადასტურებს, სადაც იგი თამარის სრასასახლეს ამკობს:

„თუ ვუქო სრანი, მე ამას რანი,
გალავანისა შემკულობანი,
კართა სტოვანი, ერთა სტოლანი,
ჰიპოდრომისა განხმულობანი".

დელისობის დღესასწაული ჭეშმარიტად ეროვნულ ელფერს ატარებდა. აქ იყო „ჩოგნის მარჯვედ ქნევაც" და „მობურთალთა მართლად ცემაც", ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ მხედართა მეომრული ყიჟინაც და ცხენბურთიც... ისინდი, ყაბახი, თარჩია, ჩეხვა, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. მათი უმეტესობა კაპიტონ ნაჭყებიას მიერაა აღდგენილი.

დღეს, თბილისის პარკ-იპოდრომს მისი დამაარსებლის, კაპიტონ ნაჭყებიას სახელი

ქვია, თუმცა იქ ვეღარ ნახავთ ყველაზე მთავარს - იმ იერს, ელფერს და, რაც მთავარია, სულს, რომელსაც მას „ლამაზი გენერალი" შთაბერავდა – იპოდრომი მე ტოტალიზატორისთვის და გასართობად არ ამიშენებიაო, ამბობდა იგი. აქ იგი ნაკრძალების დამცველ ეგერთა საცხენოსნო აკადემიის დაარსებას აპირებდა, სადაც, სამშობლოს საზღვრის და ბუნების დამცველებს აღზრდიდა. სწორედ აქ, დელისში, 1942 წ. გაწვრთნა მან თავისი ეგერთა კორპუსის მთის ვეფხვები, რომლებმაც შემდეგ კავკასიონი კბილებით დაიცვეს. აქ იღებდა ის სამხედრო პატაკს უნივერსიტეტის სტუდენტ-მასწავლებლებისაგან, რომლებიც შემდეგ მარუხის დასაცავად მიემართებოდნენ.

კაპიტონ ნაჭყებია, მოსიარულე მთა - კაცილეგენდა მოსიყვარულე მამა და მზრუნველი მეუღლე, ყველას მფარველი და პატრონი... ის თავის გვარსაც ეიმედებოდა და ტყეში გასულ ყაჩაღსაც – მხოლოდ კაცურ კაცს, კაპიტონს ჩავბარდებითო, უთვლიდნენ ხოლმე, თურმე, ყაჩაღები ტყიდან ხელისუფლებას...

მასთან, იპოდრომზე, შეხვდებოდით ჩოლოყაშვილებს თუ ამილახვარებს, დადიანებს, ერისთავებს, გვერდწითელებს, თარხან-მოურავებს, რომლებიც მან იპოდრომის თბილ თავლაში „გამოაზამთრა" ბოლშევიკური ცივი ომის წლებში - მაშინ ხომ ჯიშიანობა ყველაზე დიდ ცოდვად ითვლებოდა. „უჯიშო ხარს და ძროხას არ აჩერებთ ეზოში და უჯიშო კაცი რა ბედენად გჭირიათო", - ჩაიღიმილებდა ხოლმე კაპიტონი, რომელიც თავად ჩამოჰგავდა ჯიშიან ულაყს. ცნობილი კინორეჟისორი

მარუხის და ქლუხორის ბრძოლების გმირ ეგერთა კორპუსის ცხენოსნებს წინ მიუძღვის ცეკვე ძიძიგური. 1949 წ. დელისი.

ქალი, ლეილა გორდელაძე სიამოვნებით იგონებს იპოდრომზე გატარებულ წლებს და მშვენიერ ქართველ ნათავადარს, ზაზა ამილახვარს, რომლის სილამაზით მოხიბლული მანდილოსნები, თურმე, წვიმაშიც კი დადიოდნენ იპოდრომზე სავარჯიშოდ.

კაპიტონ ნაჭყებიამ, შესანიშნავმა ეთნოგრაფმა, ქართულ ცხენოსნურ თამაშობებთან ერთად, ბოლშევიკების მიერ აკრძალული განდიკაპის დოღიც აღადგინა, რომლის დროს, ნაკლებად კეთილშობილური წარმომავლობის ცხენების უკან ჯიშიან ცხენებს აყენებენ - ფინიშთან კი, რასაკვირველია, სწორედ ეს უკანასკნელნი მიდიან პირველები. ამგვარ სიმებზე თამაში, „ხალხის წიაღიდან გამოსული" ხელისუფლების შიშველ ნერვებზე სიარულს გავდა, ამიტომ მას მუდამ ვიღაც ყავდა ჩასაფრებული ზურგს უკან, თუმცა შობა დღეს შობილს, მუდამ დედაღვთისა იფარავდა.

ვერ იტანდა მცონარა და მუცელს გადაყოლილ ქართველებს, ხუმრობით მათ ფაშვისტებს ეძახდა. სასტიკად არ უყვარდა კინტო, სულ იმას ამბობდა გულისტკივილით, ძველი თბილისის ეს ნაძირალა ლამის ქალაქის სიმბოლოდ

ხევსურთა ტრადიციული დოღი, მთიდან დაშვება კუს ტბის მიდამოებიდან, 1948 წ. 26 მაისს

აქციეს, ამიტომაც დაემსგავსა თბილისი კინტოგრადსო. კაპიტონი გენეტიკურად და სულით ხორცამდე მეომარი იყო. მისი წინაპრები ათასწლეულების მანძილზე იცავდნენ ჭაღარა კავკასიონს, ისიც მათი ანასხლეტი გახლდათ, ამიტომაც ეშურებოდა საცხენოსნო აკადემიის დაარსებას. აქ, ეგერებს საფუძვლიანი განათლება უნდა მიეღოთ. მისი აზრით, ეგერები მხოლოდ ადგილობრივი მაცხოვრებლები უნდა ყოფილიყვნენ, მხოლოდ ადგილობრივ მაცხოვრებელს უნდა დაეცვათ საქართველოს საზღვარი, რადგან ისინი უკეთესად იცნობენ თავის კუთხეს - „ეგერი ყოველმხრივ განათლებული კაცი უნდა იყოს, მან მტრის მოგერიებაც უნდა შეძლოს, შვილის ლამაზად აღზრდაც და, თუ საჭირო შეიქნა, იმავე შვილის მშობიარობის მიღებაცო"- ამბობდა ის.

მაშ ასე, ძველით, 2001 წლის 25 დეკემბერს, ახლით კი, 2002 წლის 7 იანვარს, დიდებულ

აღლუმი დედაქალაქში, 1958 წ. 26 მაისი

ქართველ ვაჟკაცს, კაპიტონ ნაჭყებიას 100 წელი უსრულდება. მის სახელს დავიწყება არ უწერია, იგი მუდამ ტკბილმოსაგონარი იქნება ქართველი ხალხისთვის.

ნათია კეკვიძე



ცხენბურთი 1949 წ. დელისობაზე

ცხენოსანი ქალები, შუაში კინორეჟისორი ლეილა გორდელაძე

კაცი-ტიტანი, რიმლის მსრეგმზეც ორი საუკუნე იდგა

ყველა დროს თავისი ბუმბერაზი ადამიანები ამშვენებენ, ადამიანი-ძეგლები, კაცთა მოდგმის ის საუკეთესო ნაწილი, რომელიც თავისი ხელით აქანდაკებს საკუთარ კვარცხლბეკს, გულმოდგინედ კვალავს მისკენ მიმავალ ბილიკს და მუდამ შეახსენებს კაცობრიობას, რომ „ადამიანი უფრო დიდია და დიდი რამისთვის შექმნილი, ვიდრე მსახურებაა საკუთარი ლეშის მიმართ". მათ შორის მხნეობით გამორჩეულნი კი ამასაც არ ჯერდებიან და უზარმაზარ მონუმენტებად ევლინებიან ქვეყანას. ამგვარ დიდებულ მონუმენტად წარმოგვიდგება დიდბუნებოვანი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, ქველმოქმედი, ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორი, დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი - კაცი მხსნე, „მიწყივ მუშაკი", რომელმაც სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ერისკაცთა საპატიო გალერეაში, - მოსაგონარზეც თავად იზრუნა და შესანდობარზეც.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი დაიბადა 1848 წ. 28 ოქტომბერს, ძველი სტილით. ქართველთა ჩვეულებისამებრ, დაწყებითი განათლება შინ მიუღია. შემდეგ იგი, ჯერ ე.წ. „ჰაკეს პანსიონში", შემდეგ კი პირველ კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს, რომელიც 1866 წელს წარჩინებით დაამთავრა. ამავე წელს, იგი სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში მიემგზავრება, წარმატებით აბარებს გამოცდებს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, ერთი წლის შემდეგ კი მიემგზავრება გერმანიაში, სადაც ლექციებს ისმენს ჯერ მიუნხენში, შემდეგ კი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომელსაც 1871 წ. ამთავრებს ქიმიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხით. ამავე წელს იცავს დისერტაციას ფილოსოფიის მეცნიერების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. იგი ამით არ კმაყოფილდება და 1877 წლის ბოლომდე, ეუფლება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას, ქ. ჰოჰენჰაიმსა და ჰალეში. 1878-1879 წწ. დავითი გადადის საფრანგეთში, სადაც საფუძვლიანად ეუფლება მევენახეობა-მეღვინეობის დარგებს. განსაკუთრებით გაიტაცა კონიაკის წარმოებამ. მის ამ გატაცებას დიდად შეუწყო ხელი ფრანგული ფირმა „კამიუს" მფლობელთან ახლო ურთიერთობამ. ეს ფირმა, რომელიც 1866 წელს დაარსდა, სწორედ მაშინ შლიდა ფრთებს. ისტორიამ შემოგვინახა ზუსტი თარიღი, საიდანაც იწყება დავით სარაჯიშვილის მოღვაწეობა საქართველოში - 1881 წ. 10 სექტემბერს მან საფრანგეთიდან პირველი 100 კასრი კონიაკის სპირტი ჩამოიტანა, 1885 წელს გახსნა კავკასიაში პირველი სარექტიფიკაციო ქარხანა, 1887 წ. კი დაარსა კავკასიაში პირველი არყის ქარხანა. 1888 წ. მან თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრს შეასხა ფრთები და თბილისში, ვერაზე, მაშინდელ ოლდას ქუჩაზე, მთელს რუსეთში პირველი კონიაკის ქარხანა დაარსა. აი, რას წერდა გაზეთი 'Закавказье" (1911 г. 137): „Его желание было привести в исполнение давно задуманное коньячное производство, впервые в России. Знал и то, что рискует своим состоянием, но не мог расстаться с давно лелеяным планом, и, ввиду того, 1888 году установил в Тифлиси первый коньячный аппарат"

პირველი პროდუქცია ქარხანამ ამავე წელს მიიღო 9600 საკონიაკე სპირტის სახით.

დავით სარაჯიშვილის წინაპრები

დავით სარაჯიშვილი

თბილისელი მოქალაქეები, სოვდაგრები და მემამულეები იყვნენ. ეს გვარი ორი საუკუნის წინათ მოიხსენიება მატიანეებში. თბილისის მოქალაქეობის ტიტული კი მათ მე-18 საუკუნის დასაწყისში, ვახტანგ მე-VI დროს მიუღიათ. ამ



სააქციო საზოგადოება „დავით სარაჯიშვილი და ენისელი" საქართველოში
კონიაკის უძველესი და უდიდესი მწარმოებელი
კონიაკის წარმოების საუკუნოვანი გამოცდილება;
ადგილობრივი, მაღალხარისხიანი, გარანტირებული ნედლეული და კონიაკის
კლასიკური ტექნოლოგია;
საერთაშორისო აღიარება, სოლიდური დისტრიმიუტორები;
საერთაშორისო გამოთვლების 129 medal, 7 gran-pri, 89 oqro, 26 veris, 7
mrinjao, romelsac wlovanderi oTxsciavad „vazis saGalobebze" miRebuli
medlebic Seqmaqa.
სპირტის საცავი – მუსის კასრები, 10 მილიონი ლიტრის ტევადობით, ყველა ასაკის
სპირტი, მათ შორის ყველაზე ძველი გამოხდილია თვით დავით სარაჯიშვილის
მიერ, 1893 წ.;
მუდმივი ზრუნვა მომხმარებლებზე.

ცნობილ სოვდაგრები გახლდნენ და შეძლებითა და ქველმოქმედებით გამოირჩეოდნენ. თბილისში განთქმული იყო მათი ქარვასლა. მე-19 ს. დამდეგს ისინი მიმოსვლას აწარმოებდნენ მოსკოვში, სტამბულში, ირანში. სარაჯიშვილების სავაჭრო სახლს ასევე ფართო კომერციული ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის თემებთან, რუსეთთან, უკრაინასთან. ზოგიერთ ქალაქებში მათ საკუთარი მაღაზიებიც ჰქონდათ გახსნილი და საკუთარი აგენტებიც ჰყავდათ. დავითის ბაბუა, დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი ქართული სიდარბაისლით გამორჩეული კაცი, ქველმოქმედებით იყო განთქმული. იგი თბილისის ძველ უბანში, ისანში დაბადებულა, 1753 წელს. დაკრძალულია ვერეს ძველ სასაფლაოზე, საფლავის ქვაზე კი წარწერაა: „ღუბერნსკის სეკრეტარი დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი (1753-1845)". მან ეს ტიტული იმ მოღვაწეობისთვის მიიღო, რომელსაც იგი ღარიბების დასახმარებლად და ოსეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად ეწეოდა. სარაჯიშვილების გვარი პირველი იყო, ვინც რუსეთის მეფის მთავრობამ ღირსეულ მოქალაქეებად დაამტკიცა. ისინი საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავდნენ აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესიების აღსადგენად. დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი თავისი ცხოვრების მანძილზე სიონის ტაძრის მამასახლისი იყო. მას ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონია ერეკლე მეორისა და საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგის სამეფო კართან. დაახლოებული ყოფილა მეფისწულ ანტონ კათალიკოსთან. საარქივო მასალებიდან ვგებულობთ, რომ იგი ამარაგებდა მათ საჭირო თანხებით. სამეფო ოჯახი იმ დროს მატერიალურ შეჭირვებას განიცდიდა და ხშირად უხდებოდა ძვირფასეულობის დაგირავება-გაყიდვა. მისი ძმა, მიხეილი სურსათ-სანოვაგით ამარაგებდა კავკასიაში მყოფ რუსეთის ჯარს და მსხვილ აღებ-მიცემობას აწარმოებდა. მიხეილის უფროს შვილს, პეტრეს, 14 შვილი ჰყავდა. სწორედ მისი შვილი გახლავთ „საქართველოს ბულბული", ვანო სარაჯიშვილი.

თანამედროვეთა გადმოცემით, დავითის მამა, ზაქარია, კეთილისმყოფელი ბუნებით გამორჩეული კაცი იყო. მის უკითხავად, სოფელ დიღომში ვერცერთი საქმე ვერ გადაწყდებოდა. სისასტიკით განთქმული დიღმელი მებატონეებისაგან აწიოკებულ გლეხკაცობას მეოხად სწორედ ზაქარია ჰყოლიათ, მიცვალებულსაც ის აპატიოსნებდა და სოფლის გასათხოვარ ქალებსაც ის ამზითვებდა თურმე! იგი უშურველად განიკითხავდა ქვრივ-ოხრებს, ჯიბეში წვრილი ფული არ ელეოდა უპოვართათვის. მან საკუთარი სახსრებით ააგო სოფელ დიღმის მთაზე ეკლესია, რომელსაც ხალხმა „თეთრი გიორგი" შეარქვა. ეკლესიის შესასვლელი კარის თავზე ქვის წარწერაა: 'მე მამა-პაპათ მოსავსა შენსა ზაქარია სარაჯოვს-ღუბერნსკის სეკრეტარს დავითისასა სახელობასა ჩემსა, რომელმან აღვაგე წმინდა ტაძარი ესე საკუთარითა საფასითა ჩემითა და შევამკე ყოველთა სამკაულითა, წელსა1863".

ვაზის აკვანი საქართველოში გადაირწა

საქართველო ვაზის სამშობლოა. ამას სხვადასხვა ენაში ქართულიდან შესული ღვინის სახელიც ადასტურებს. სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ქართველი კაცი ოდითგანვე მტკიცედ ჩასჭიდებია ვაზის ჭიგოს და მისი მზისთვალა ნაყოფივით დაბანდული მოირწევა დღემდე თავისი ლხინისა და ჭირის თანაზიართან ერთად. ეს ღვთიური კავშირი ჯერ კიდევ ველურ ვაზთან დამოყვრებული ქართველი კაცისა დღემდე ცისა და მიწის კავშირივით ურღვევია. ამ კავშირმა და თავისი წინაპრის დიონისურმა სულმა ჭაბუკ დავით სარაჯიშვილს შორეულ საფრანგეთშიც ვაზის ფესვი აძებნინა. იგი ისე გაიტაცა არაყის, განსაკუთრებით, კონიაკის წარმოებამ, რომ გადაწყვიტა თავის სამშობლოში ეს საქმე სამრეწველო რელსებზე დაეყენებინა და კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ვაზის აკვანი გადაირწა. საამისოდ მას ძალა და შემართება საკმარისი ჰქონდა, შრომისმოყვარეობა კი იმ მუხლჩაუხრელი წინაპრისაგან მოსდევდა, გენეტიკურად, რომელიც დაუღალავად სერავდა უსასრული გზებს და ქართული მიწის ბარაქასთან ერთად მისი სახელიც გაჰქონდა მსოფლიოში - ისინი ხომ ფაქტიურად, ჩვენი ქვეყნის დესპანები იყვნენ უცხოეთში, მსოფლიოსთან მაკავშირებელი ძაფები. სწორედ მათი ანასხლეტი იყო დავით სარაჯიშვილი. ძველი, გონიერი და ღონიერი დროიდან გადმოყოლილი, ამიტომ არ ჯდება იგი არანაირ ჩარჩოებში და არაფრით არ ჩამოჰგავს იმ დიდ გვარიშვილებს, რომლებიც, აკაკის თქმისა არ იყოს, "ჩვენი წინაპრების სისხლითა და ოფლით გაჟღენთილ მამულებს დუქნის კილოზე ამღერებდნენ და გულგრილად უბრალოდ ხელში უცხოელებს".

ნოე ჟორდანიას თქმით, დავით სარაჯიშვილი პირველი ევროპული ტიპის ქართველი მრეწველი იყო. ეს რომ ასე არ ყოფილიყო იგი დიდი ხანია საქმეს ქართულად დაასრულებდა ანუ მისი შეძლებიდან აღარაფერი არ დარჩებოდაო. "შეართეთ ქართული გულკეთილობა და პურმარილი ევროპულ საქმიანობასთან და თქვენ მიიღებთ დავით სარაჯიშვილს, ქართველის გაევროპიელება სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს" - აცხადებს იგი. მისი თანამედროვის თქმით, ფული მისთვის საშუალება იყო და არა საგნის მიზანი... სიმდიდრე მისი მსახური იყო და არა ბატონი." ჩვენ კი დავამატებდით, მისი გამჭრიახი გონებითა და დაუზარელი შრომით შეძენილი სიმდიდრე, მისი სათაყვანებელი ქვეყნის მსახური იყო და იგი მას უშურველად გასცემდა მის სადიდებლად.

სამი ვეშაპი, რომლებზეც სახელმწიფოს ძლიერებაა აღმართული

ქართველ დიდვაჭართა ბრწყინვალე დინასტიების მაგალითითაც ჩანს, რომ საქართველო მხოლოდ მეომრისა და მხვნელ-მთესველის ქვეყანა არ ყოფილა, აქ აღებ-მიცემობას ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონია. ამას უძველესი კოლხურ-იბერიული კულტურა და ძველი მსოფლიოსათვის სასიცოცხლო ძარღვის, აბრეშუმის გზის არსებობაც ადასტურებს. სწორედ იმ დროის გამონაჟური იყო დავით სარაჯიშვილი, რომლის ძველ სახელ-დიდებას გასულ საუკუნეში თითო-ოროლა გვარ-სახელი თუღა შეგვახსენებს- სარაჯიშვილები, ზუბალაშვილები, ფორაქიშვილები...

ისტორიის ბედუკუღმართობამ კი, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე მტრის საქირქილო და თითით საღირალი გაგვხადა - „ვინ ქართველი და ვინ ვაჭრობა, ვინ ქართველი და ვინ ფაბრიკანტიო" - წუხს ზაქარია ჭიჭინაძე. „ამ გარემოებით ჩვენ იქამდის მივედით, რომ მალე დავიმკვიდრეთ სახელი უვიცობის, ზარმაცობის, გაუნათლებლობის და უკულტურობის. რაკი ერთხელ წაგვივიდა საქმე ცუდათ, მას მერე სულ უკუღმა ვიარეთ. საქართველოში ყოველთვის ხელოსნებად სულ ბერძნები, სომხები, არაბები, თათრები და სხვანი ყოფილანო. ქართველებს სულ არაფრის კეთების შნო არა ჰქონიათო. მათ შეეძლოთ მარტო თაგვის სოროებივით მიწური თხრილის ქოხები ეთხარათ და შიგ ყოფილიყვნენ ღორებივით ანუ ეწურათ ჭყაპი ღვინო და არაყი, ეთითხნათ ქერის და ჭვავის პური, ეხარშათ ლობიო და ხაში და მით ეცოხნათ. აი, თუნდაც დღესაცო, მათში ერთი ნასწავლი კაცი არ არისო, ერთი ინჟინერი, ექიმი, ვაჭარი, ფაბრიკანტი, მეხანიკი, ტეხნიკი და სხვანიო."

ყოველივე ამის მიზეზად ზაქარია ჭიჭინაძე, პირველ რიგში, რუსეთის იმპერიასთან სავაჭრო კავშირს მიიჩნევს, დიახ, სავაჭრო და არა პოლიტიკურ კავშირს. ამის დასტურად მას აღა-მახმად ხანის ულტიმატუმი მოჰყავს, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოუგზავნა მეფე ერეკლეს, 1795 წელს: "შენ რუსებს უკავშირდები სოვდაგრობისთვის და ეს არ გეკადრებაო, ტყუედები ამითაო". ეს ცნობა მეფეს, თბილისზე დაცემის ექვსი თვის წინათ მოსვლია და რაკი მეფემ არ დაარღვია რუსებთან ვაჭრობის მხრით კავშირი, მიტომაც იყარა აღა-მახმად ხანმა ჯავრი და 1795 წლის ენკენისთვეში მოაოხრაო თბილისი - დასძენს ზაქარია ჭიჭინაძე და იქვე საგულისხმო დასკვნას გვთავაზობს:

"ამ შემთხვევამ დიდად შეაფერხა და შეამოკლა ჩვენი ყოფა, ვინაიდან ტფილისიდან მტერმა 40 ათასი ქართველი წაიყვანა, მათში მოიპოვებოდა ყველანაირი ხელობისა და ვაჭრობის ქართველობა". ესენი თბილისს ის მოსცილდნენ, რომ მათი რიცხვი ჩვენის დედაქალაქისა და ტომისათვის სრულიად დაიქსაქსა. ამასობაში ქართლ-კახეთის რუსეთის

იმპერიასთან დაკავშირებაც დადგა დღის წესრიგში და 1801 წელს იგი რუსეთს ჩაბარდა. ამ გარემოებამ გასნა თბილისში ვაჭრობის გზა-კვალი და რაკი საქართველო ძლიერ საქრისტიანო სამეფოს კუთხედ გამოცხადდა, ამიტომ ამ ქვეყანაში ყველა მხრიდან იწყეს მრავლად შემოსვლა სხვადასხვა ტომის ერთა ვაჭრებმა, ხელოსნებმა, და სოვდაგრებმა. იწყეს მოქმედება და აღებ-მიცემობა. ქართველთ სიმრავლეს ამათ უსწრეს წინა" - დასძენს ზაქარია ჭიჭინაძე და იქვე აღნიშნავს: "რაც დრო გადიოდა, ჩვენ უფრო ვმცირდებოდით ყველაფრის ასპარეზზე. მარტოდ ძველებურად, კიდევ სამხედრო სამსახურს გავყეთ და რუსის მხედრობაში შესვლას, სხვა ყველაფერს მოვსხლტით და მოვშორდით."

აი, ამგვარ პირობებში მოუხდა საქართველოს უდიდესი ძვრების ხანაში შესვლა. ცარიზმის იმპერიალისტური ზრახვების, ახლად წამოჩიტული კაპიტალისტური ურთიერთობების და რუსული ბიუროკრატიული მექანიზმის გააზრებისათვის იგი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა - ვერც გაითავისა, ვერც აირეკლა და ვერც ვერაფერი მნიშვნელოვანი ვერ დაუპირისპირა.

საინტერესოა, ჰქონდა კი მეფე ერეკლეს ან თუნდაც ვახტანგს სხვა არჩევანი იმ დროს, თუ მხოლოდ ის ერთადერთი, ჩვენთვის საბედისწერო გამოსავალი რჩებოდა, რომელმაც ირანის ლომის გააფრთება და ჩვენი სახელმწიფოებრიობის კარგა ხნით უკან გადაწევა გამოიწვია?

> ცნობილი ქართველი სახოგადო მოღვაწე, მწიგნობარი და ისტორიკოსი, ზაქარია ჭიჭინაძე დაიბადა 1953 წელს, თბილისში. 1872 წლიდან, მისი წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთ „დროების" ფურცლებზე „მთაწმინდელის" ფსევდონიმით. მან შეკრიბა 500-ზე მეტი ხელნაწერი, პერგამენტი და გამოსცა ისინი კომენტარებით. მან გამოსცა, აგრეთვე, „ქართლის ცხოვრება" რამდენიმე ტომად. ის ქართული მწერლობის ცოცხალი მატიანე გახლდათ. მადლიერმა შთამომავლობამ, ერის მოამაგე და მოჭირისუფლე „მთაწმინდელის" ნეშტი, მთაწმინდასვე მიაბარა...

გადავხედოთ ისტორიას. ჯერ კიდევ 1713 წელს ვახტანგ მეფის წერილით საბა რომის პაპს და საფრანგეთის კაროლს დახმარებისთვის შესტირის და ამის სანაცვლოდ საკმაო მსხვერპლსაც პირდება: "თუ საქართველოს შვებას მისცემთ, მაშინ მეფე და კათოლიკოზი კათოლიკობას შეუერთდებიან, ამის მაგალითით მთელი საქართველო გაკათოლიკდება, ამას გარდა, ვახტანგ მეფე გახსნის გზებს, გზებზე დაადგენს ყარაულებს, გამართავს ფოსტას და ხელს შეუწყობს საფრანგეთის ვაჭრებს".

ვახტანგის შემდეგ ერეკლე ცდის ბედს და ინდოელი მილიონერის, იაკობ შახრამიანის დახმარებით, 1769 წელს ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკებას იწყებს. მიწერ-მოწერამ 28 წელს გასტანა. საქართველო ინგლისს უნდა ჩაბარებოდა, მაგრამ ინგლისამდე შორს იყო, იქვე მთვლემარე ვეშაპს კი კუდი უკვე კაი ხანია კავკასიონის კიდემდე ეწვდინა და შესაფერის დროს ელოდა. ამ გარჯისათვის მეფე ერეკლემ იაკობ შახრამიანს თავადობა უბოძა და ლორის მაზრა დაუმტკიცა საკუთრებაში.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საბაბს განვაცხადოთ, რომ სახელმწიფოს არსებობის უპირველესი წინაპირობა, შრომასა და ბრძოლასთან ერთად, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა ანუ ეკონომიკური საქმიანობაც ყოფილა. ეს სწორედ იმ სამ ვეშაპთაგანი გახლავთ, რომელზეც სახელმწიფოს ძლიერებაა აღმართული.

სწორედ ამიტომაა მეტი ყურადღება საჭირო, რათა ქართული ბიზნესის, ეკონომიკის აღმასვლას ფრთა არ შეეკვეცოს, რათა კვლავ იდავითონ ქართველმა მეწარმეებმა - თავიც გამოკვებონ და ქვეყანაც.

გვერდი მოამზადა
ქეთი გურულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მესროლოთ, ჟურნალისტი ვარ!

„28 ოქტომბერი დათო ბოლქვაძის დაბადების დღეა" – ვკითხულობთ გასული წლის 28-29 ოქტომბრის „ახალ ეპოქაში", არადა, ის სწორედ ამ დღეს გამოასალმეს სიცოცხლეს!

უნებური უხუსტობა შეცდომად მაინც არ აღმიქვავს, რადგან ერთმა ჩემმა მეგობარმა ასე დამლოცა დაბადების დღეზე – ჭეშმარტი დაბადების დღე ასი წლის შემდეგ მომელოცოსო. დაბნეულობა რომ შემნიშნა, განმიმარტა – ნაღდი ჟურნალისტის ნამდვილი დაბადების დღე ისაა, როცა მას კლავენო. უდავოდ...

კიდევ ერთი გამეტებული, საჯიშე ბიჭი, ქართული გენის ზეიმი და სრულყოფილება. სახელიანი წინაპარივით ახოვანი და მობუბუნე, სულით-ხორცამდე ქართველი, ჭეშმარიტი თბილისელი... სხვა ვინ უნდა გავიხსენოთ თბილისობის ლამაზ დღესასწაულზე, თუ არა დათო ბოლქვაძე, ჩვენი კოლეგა, ნამდვილი პროფესიონალი და თავისი საქმის უზადო მცოდნე, უბრალო, ლამაზი, თბილისელი ბიჭი...

მას უზომოდ უყვარდა სიცოცხლე, პარლამენტიდან, პირდაპირ ბრძოლის წინა ხაზზე მოხვდა, დედის უჩუმრად. ხოში მიმავალი ამბობდა, ძმათამკვლელი ომი უნდა გადავიღოო - თავიდანვე ხვდებოდა, რომ ეს აბსურდის თეატრი იყო, საშინელებათა სერიალიდან, ამიტომ როცა ხელში იარაღის აღება შესთავაზეს, საშინლად იწყინა – ვის ვესროლო, ბიჭო, დედაჩემიდან და მამაჩემიდან დავიწყოო?! არ დააყოვნეს და პირველი იარლიყი მაშინვე მიაწებეს - მასაც და მის ოჯახსაც, „ზვიადისტობა" დასწამეს!

დათო ბოლქვაძეს, პროფესიით და მოწოდებით ჟურნალისტს, თავისი იარაღი კაი ხანია მხარზე ქონდა მოკიდებული და ბოლო წუთებამდე არც გაუგდია ხელიდან. მისი უტყუარი კამერა თვით უმნიშვნელო წვრილმანსაც ზუსტად აფიქსირებდა და ომის საშინელებათა კადრებსაც კი, საოცარი სიფაქიზით გამოარჩევდა.... უპატრონო სოფელში, კარებთან აბღავლებული უპატრონო ძროხა, ასევე უპატრონოდ დარჩენილი და საცოდავად მოწკმუტუნე ლეკვი, ჯარისკაცის ხელისგულზე მოკალათებული ბეღურა...

ფაქიზი სულის ბიჭი იყო და იუმორიც ფაქიზი ახასიათებდა თურმე, ისე გაგექილიკებოდა, წყენას ვერ იგრძნობდი...

ძალიან სურდა ჩვენი პოლიტიკური ვაუხანალიის სატირულ-იუმორისტულ ჭრილში გაშუქება. საამისოდ, სცენარიც მოფიქრებული ქონია, მე შენ გეტყვი, ვერ იშოვიდა საკბილოს ან პერსონაჟების საძებრად შორს მოუხდებოდა წასვლა! „პოლიტპიესა", კიპლინგის „მაუგლის" გადამღერება უნდა ყოფილიყო – საამისოდ, მას ბალუც შეგულებული ჰყავდა, ბაგირაც და შერხანიც, არც ტურა-ტაბაკას მოძებნა გაუჭირდებოდა, რომელიც ამ ნაწარმოების მიხედვით შექმნილ რუსულ მულტფილმში გამუდმებით გაიძახოდა: „ა მი პოიდიემ ნა სევერ, ა მი პოიდიომ ნა სევერ"-ო! რაც შეეხება ბანდერლოგებს და მათ მახრჩობელა ბრძენ კას... ალბათ მათთვისაც არ გაუჭირდებოდა მიზანსცენების შერჩევა... სამწუხარო ისაა, რომ სწორედ ერთ-ერთ ამ „ბანდერლოგთაგან" შეეწირა ანგელოზივით სუფთა ბიჭი...

ყელში ცრემლმომდგარი დათოს დედა, ჟურანალისტი, ლია ისიანი-ბოლქვაძე ხათრს ვერ მიტეხავს, საუბარი ისევ დათოს დაუშრობელ იუმორზე გრძელდება – მინდა ოდნავ მაინც გავუნელო მოახლოებული 28 ოქტომბრის სიმძაფრე, თუმცა მალე ვხვდები, რომ მისთვის ახლა ყოველგვარი ამბის მოყოლა სასიამოვნოა, საუბარი ხომ დათოს ეხება...

„ჩუსტების ხმაზე გრძნობდა როგორ ხასიათზე ვიყავი. თვითონ ნაკლებად მაბრაზებდა, მაგრამ გოგონები თუ გამომიყვანდნენ წყობიდან, სამზარეულოდან მეომრის ნაბიჯებით დავიძვრებოდი და მაშინ... „კონტრიბუცია ოჩენ პსიხიჩნაო", აფრთხილებდა გოგოებს. ეს „კონტრიბუცია" ვიღააო, იკითხავთ! ის, ერთ-ერთი უკრაინული მოკლემეტრაჟიანი ფილმის პერსონაჟი ძროხა იყო, რომელსაც ორი, ტორეადორობაზე მეოცნებე, პატარა ბიჭუნა იმდენს უჩიჩხინებს ჯოხით, რომ მინდორში მობალახე, თავად სიმშვიდის განსხეულება პირუტყვს, ტოროს ხარად გადააქცევენ... ფილმს, როგორც მიხვდით, თავისი ლოგიკური დასასრული ექნებოდა – ასეც მოხდა, „დედალი ხარისგან" ძლეული პატარა ტორეადორები ტბაში ამოყოფენ თავს.

დათო „ტაიმ-აუტის" რეჟისორი იყო, მისი ეთერში გასვლის დღიდან.

მას და ნატო ონიანს, საოცრად თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ. ნატო, რომ ნატოა, მასაც ავიწყდებოდა ხანდახან ტექსტი, იმგვარი ქვის ხანის ტექნიკით უხდებოდა მუშაობა და, ფუი, ფუიო გაიძახოდა! მინის მიღმა მჯდომი დათო ეხუმრებოდა თურმე - ნატო, მანქანის „დვორნიკები" ხომ არ დავიყენო მინაზეო!

ბავშვური სიალალით გამორჩეული, ნათელი ბიჭი საოცრად მიმტევებელიც ყოფილა. ერთხელ, მასზედ ბევრად უფროს პიროვნებას, მისთვის გული უტკენია. დათოს კოლეგა ქალბატონი გამოქომაგებია, თუმცა ამ უკანასკნელს იგი შეუჩერებია – ჩემი გულისთვის ნუ აწყენინებთ ქალბატონო, ჯერ მყვირალობის პერიოდი აქვსო!

ნუ აწყენინებთ, ქალბატონო! ძმის წინააღმდეგ იარაღს ნუ აიღებთ, ბიჭებო! არ მესროლოთ, ჟურნალისტი ვარ!

ვაწყენინეთ, იარაღიც ავიღეთ და კიდეც ვესროლეთ, მერე ესეც არ ვაკმარეთ და ლაფში ამოვთხვარეთ მისი სახელი მარადიორობა დავწამეთ! დათუნას უძირო, ცისფერი თვალების შუქის ჩამქრობი ნაძირალა კი „ალიას" ფურცლებზე ახლა უკვე მეორე შეწირულ კრავს, გიორგი სანაიას გლოვობს და იცხადებს ისტერიულად.

როცა ლოთი ქობალიას ამ საპროტესტო წერილმა, სადაც იგი თავის „სამართლიან აღშფოთებას" გამოთქვამს, ემობს სანაიას მკვლელობას და მკვლელის სათანადო დასჯას მოითხოვს, არავის გაუჩინა პროტესტის გრძნობა, არავინ ჩათვალა ეს ფაქტი მკრეხელობად, მივხვდი - ჩვენ არც სოციალიზმი და არც დემოკრატია არ გვჭირს, ეს უფრო სხვა უბედურებაა! თუმცა, რა გასაკვირია, „პერესტროიკამდე" ცოტა ხნით ადრე, რამდენიმე წელს ზედიზედ, ქართული ფსიქიატრიის პატრიარქი, ავლიპ ზურაბაშვილი გვილოცავდა ახალი წლის შემობრძანებას, ვგონებ, დაგვცადა!

ქვეყანაში, სადაც უმრავლესობა მავნებლობს, სადაც არ არის სახელმწიფოებრივი აზროვნება და სახელმწიფოებრივი მიდგომა, პრივალირებს კრიმინალური აზროვნება, თავად კრიმინალი კი ავტორიტეტად მიუჩნევიათ და ფართოდ უღებენ პარლამენტის კარს, კაცის მკვლელს და ჯალათს კი, საჯარო ტრიბუნას უთმობენ და პოლიტპატიმრად შერაცხავენ, მასმედის კვერის დაკვრით და აკომპანიმენტით, ვგონებ, გაცილებით უფრო რთულადაა საქმე...

ლოთი ქობალიას წერილის გამოსვლის შემდეგ, ქართული (თუ ყვითელი?!) პრესის ლიდერის, „ალიას" მომდევნო ნომერში, დათოს დედის ინტერვიუ დაიბეჭდა – სრული შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ იგი გაეცნო ქობალიას წერილს და მისი „სამართლიანი აღშფოთებით" კმაყოფილმა აღარ გააპროტესტა ეს მკრეხელური წერილი. საბოლოოდ, ყველაფერი მართლაც ასე მოხდა – ამ უზნეობით გადაღლილმა, სასამართლოში სიარულით ნერვებდაგლეჯილმა, შვილმკვდარმა ქალმა მაინც დუმილი არჩია, რადგან მიხვდა, რომ ამ განუკითხაობის ქვეყანაში, არაფერს არა აქვს აზრი.

ჟურნალისტთა ფედერაციაში გამართული პრეს-კონფერენცია, სადაც დათოს ჭირისუფლები აღშფოთებას გამოთქვამდნენ ჩვენი ზოგიერთი კოლეგის არაკეთილსინდისიერი საქციელის და თავისი ჟურნალისტური მოვალეობისადმი არასათანადო დამოკიდებულების გამო, არცერთმა გაზეთმა არ გააშუქა, „იბერია-თაიმსის" გარდა. მიზეზი?! თურმე ნუ იტყვით, და, კოლეგიალობა! ასეც ახსნეს თავისი უარი „სოლიდური" გაზეთების რედაქტორებმა. კი, მაგრამ დათო ბოლქვაძე თქვენი კოლეგა არ იყო-მეთქი, აღშფოთება ვერ დავმალე?! პასუხი ვერ გამცეს, მაგრამ წერილიც არ გამომიქვეყნეს. იმ კოლმეურნისა არ იყოს, თავმჯდომარის გვარს არ დავასახელებო... ცოტასაც ვაცლი, იქნებ თავად მიხვდნენ რამეს და შემდგომ ერთი პატარა ჩიტივით ავჭიკჭიკდები, ბიჭო-გოგიაო, რომ გაიძახოდა!

საამწუხარო ისაა, რომ სენსაციას დახარბებული ჩვენი კოლეგები ივიწყებენ (თუმცა ივიწყებ იმას, რაც იცი!), რომ ჟურნალისტი პირველ რიგში ზნეობა და მორალი, შემდგომ კი, სიმართლის და ადამიანების გვერდით დგომის პოზიციაა, ადამინურ ფასეულობათა დაცვის უზადო ხელოვნებაა და არა ჭორის თითხვნის, პროვოკატორობის და თვალში ნაცრის შეყრის.

„თამილა ლომიშვილს, ლაშა ნადარეიშვილს, ელისო ჩაფიძეს არც უდანაშაულობის პრეზუმციაზე და არც კოლეგიალობაზე წარმოდგენა არა აქვთ!"- ამბობს თავად ჟურნალისტი ლია ისიანი-ბოლქვაძე და განაგრძობს: „ამ უკანასკნელს კი, ელისო ჩაფიძეს, თურმე, იმის უფლებაც აქვს, რომ ტელეეკრანიდან მორალი გვიკითხოს და დაგვმოძღვროს. ახლა, ჩვენი, ჭირისუფლების უჩუმრად, ლოთი ქობალიას საქმე ისევ უზენაესში გადაქვთ განსახილველად. გაზეთებიც დუმილის პოლიტიკას არჩევენ, ჩვენ რომ არაფერი შევიტყოთ. კი, მაგრამ რა ხდება?! სად ვცხოვრობთ და, ბოლოს და ბოლოს, ვინ ვართ მაშინ ჩვენ?!

მინდა დავარწმუნო ისინი, რომ არ დავუშვებთ სასამართლოზე ახალი, ცრუ მოწმეების გამოძახებას".

იქნებ დროა, მავანნი გონს მოეგონ! დათო ბოლქვაძის დამკარგავ დედას, ამის შემდეგ მაინც, ნუღარ ავუმღვრევთ სულს! სამარცხვინოა, რომ ჩვენსავე კოლეგას, ტელევიზიის ჟურნალისტ ლია ისიან-ბოლქვაძეს, სწორედ ჩვენი წყალობით, თავისი ნათელი ბიჭი, დღესაც, გაუსვენებელი მიცვალებულივით უდევს წინ და გამოტირების უფლებასაც არ ვაძლევთ, მას კი, დანარჩენ შვილებს რომ თავი დავანებოთ, შვილიშვილები ყავს გასაზრდელი, მათაც თავისი წილი სითბო და სიცოცხლის ხალისი ჭირდებათ. ამის ნაცვლად კი, შვილმკვდარი დედა ხმალშემართული იბრძვის სასამართლოზე თავისი უდროოდ და უღვთოდ გამეტებული, გარდაცვლილი შვილის სახლის დასაცავად, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, უკვე არა მკვლელისაგან, არამედ, თავისივე კოლეგებისაგან, რადგან თავად დათუნას არ აქვს საშუალება თავისი უზადო იუმორით და მიმტევებლური ღიმილით გასცეს პასუხი ავყიათა ხეპრულ გამოხდომებს.

ღმერთო, გაანათლე დათუნას სული, გვაკმარე მსხვერპლი, გონი და ზნე დაგვიბრუნე, ნუღარავის მოუკლავ, სიკვდილო უდროოდ შვილს, ღმერთო, მოგვეც ძალი და შეწევნა, რომ ომიან მშვიდობას გავუძლოთ და ჩვენს მანკიერებებს ღირსეულად ვძლიოთ!

ქეთი ჯაყელი

ეძღვნება დათო ბოლქვაძის ნათელ ხსოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში კვლავ ხმიანებს ვაზის საგალობელი

თბილისში, 24-27 ოქტომბერს, უკვე მეორედ გაიმართა ფესტივალი ,,ვაზის საგალობელი", რომელმაც წელს საერთაშორისო სტატუსი შეიძინა. ფესტივალი მიეძღვნა N1 ღვინის ქარხნის 105-ე წლისთავს. იგი საერთაშორისო, ათწლიანი ტელეესტაფეტის - ,,მსოფლიოს დედაქალაქების, საზღვაო აუზების და სულის ეკოლოგიის" პირველი ეტაპი გახლავთ. ამ იდეის ავტორია, ჩვენი თანამემამულე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, პიანისტი ლალი მიქავა, შემსრულებლები - ,,ადამიანის სულისა და გონების ეკოლოგიის" საერთაშორისო კავშირი, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი და N1 ღვინის ქარხანა.

ფესტივალის სპონსორები არიან საქართველოს ტელეკომი, ქართულ-ბრიტანული ნავთობკომპანია ,,ნინოწმინდა", გაზეთი ,,ახალი თაობა" და რადიო ,,აუდიენცია".

ფესტივალ ,,ვაზის საგალობელს" წინ უძღოდა პრეზენტაცია, რომელზეც, ეს მშვენიერი წამოწყება, თვით საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II დალოცა.

მუდამ დალოცვილ და ფესვკურთხეულ ქართულ ვაზს მართლაც ჭირდება ჩვენი თანადგომა, რადგან მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, დღეს დაუშვებელზე მეტად დაკნინდა მისი ღირსება და მნიშვნელობა. ვაზი, ქართველი კაცისთვის თავად სულიერებაა, მისი დაკავშირება ღმერთთან უძველეს მითოლოგიურ სიმბოლიკადაა მიჩნეული. ძველ ხალხებს, ვაზი, ღვთიური ძალის მცენარედ მიაჩნდათ. მისდამი ზრუნვას და მოვლა-პატრონობას, უზენაესისადმი მიმართული რიტუალის ელფერი დაკრავდა.

საზოგადოდ, ვაზისა და ღვინის ღვთაება, ქართველებში, ისევე როგორც სხვა, ძველ ხალხებში, გაცნობიერებული იყო, როგორც თავისუფალი ნების, ყოველგვარ ჩარჩოებთან შეუგუებლობის, მებრძოლი და დაუმორჩილებელი სულის ცნება.

,,ღვინის დადვრა", როგორც კულტის ელემენტი, ჯერ კიდევ მოსეს კანონში იგულისხმებოდა, ,,პურის მსხვერპლთან" ერთად და სრულდებოდა საზოგადო მსხვერპლშეწირვების დროს.

,,დაღვრისათვის", საჭირო ღვინის რაოდენობა განისაზღვრებოდა შესაწირავი ცხოველის ჯიშის მიხედვით. ,,დაღვრისათვის" განკუთვნილ ღვინოს ,,შექარი" ეწოდებოდა, რაც მაგარ, ძველ ღვინოს ნიშნავდა.

,,ვაზო შვილივით ნაზარდოო", ასე უბრალოდ უთქვამს ქართველ პოეტს მევენახის გულის ნადები და ამ უბრალო თქმაში უდიდესი ჭეშმარიტება ჩაუქსოვია...

ქართველი, ჭეშმარიტ რწმენასაც ვაზის ჯვრით ეზიარა, რომლითაც წმინდა ნინომ მონათლა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, ამიტომ კვლავ უნდა აღდგეს საქართველოში ვაზის კულტი, ქართული ღვინო კი მის სავიზიტო ბარათად უნდა იქცეს.

სწორედ ამიტომ, ყველაფრის მიუხედავად, წლევანდელ ფესტივალს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

,,იმ მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი, ქართული ღვინის ეს ზეიმი მხოლოდ დადებითად უნდა შეფასდეს. ის უდიდესი სტიმულია ქართველი მეღვინეებისათვის, ლუდი რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ ქართულმა ღვინომ თავისი საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს ჩვენს ყოფაში" – გვითხრა უკვე ამ კონკურსის ერთ-ერთმა გამარჯვებულმა, შ.პ.ს. ,,ოქროს ხვანჭკარას" პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა,

ვახტანგ ქიზიყურაშვილმა, რომელიც ამავე დროს ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრიც გახლდათ.

ფესტივალის პროგრამის ერთ-ერთ ნაწილს დეგუსტაცია-კონკურსი წარმოადგენდა. ღვინის, კონიაკის, ლიქიორ-არყის, მინერალური და გამაგრილებელი წყლების კონკურსში წარმოდგენილი იყო 57 ნიმუში, რომელიც ყველაზე კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა. იგი ქართული ღვინის და ღვინის პროდუქტების წარმოების საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტებისაგან იყო დაკომპლექტებული. კონკურსი ,,სამტრესტის" ეგიდით ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ქართველმა მეღვინეებმა - აქ იყვნენ სტუმრები უკრაინიდან, ყირიმიდან, მოლდავეთიდან. ამ უკანასკნელი ქვეყნის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი კონიაკები ჩვენი დიდი თანამემამულის, დავით სარაჯიშვილის მიერ, მოლდავეთში დაარსებული ქარხნის პროდუქცია გახლდათ. კონკურსზე წარმოდგენილი იყო, აგრეთვე, ორი ფირმა საფრანგეთიდან.

გათამაშდა 47 მედალი, მათ შორის, 8 ბრინჯაო, 21 ვერცხლი, 10 ოქრო, 8 გრან-პრი. დაჯილდოვებულთა შორის იყვნენ, როგორც ტრადიციული დასახელების ქართული ღვინოები და კონიაკები, როგორებიცაა ,,ხვანჭკარა", ,,საფერავი", ,,მუკუზანი" და სხვ., ასევე არატრადიციული დასახელების ღვინოები, მაგალითად, ,,ფიროსმანი", რომელიც წარმოადგინა ,,სადღესასწაულო ღვინოების კომბინატმა", ქალაქ ტოლიატიდან და საავტორო ღვინოების კოლექცია - ,თემი", რომელიც N1 ქარხნის მეღვინეს, თეიმურაზ კორტავას შემოქმედებაა და რომლის ეტიკეტებიდან, თვით დიონისური ღიმილით მომზირალი ავტორი გადმოგვყურებს.

კონკურსზე გული არავისთვის დაუწყვეტიათ, ჯილდოები და მედლები ყველას შეხვდა – სტუმარსაც და მასპინძელსაც, მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ფესტივალი ჩატარდა, იმის მიუხედავად, რომ ბევრმა ქართულმა ღვინის და ღვინის პროდუქტების მწარმოებელმა ფირმამ, შეგნებულად თუ სხვა მიზეზების გამო, უგანა ფეტისვალს . ქართველი მეღვინეები, 1986 წლის უკანასკნელი დეგუსტაციის შემდეგ, მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს რინგზე.

ტრადიცია აღსდგა, ფესტივალმა თავისი მისია შეასრულა, თუმცა არ ამოუწურავს, რადგან წინ მისი მეორე ეტაპია – ტელემარათონი, რომელიც 2002 წლის დასაწყისში გაიმართება.

იმედი გვაქვს, რომ ქართულ ღვინოს ისევ დაუბრუნდება ძველი სახელი და დიდება, ის დაიბრუნებს თავის ,,დაკარგულ ტერიტორიებს" რუსეთის ბაზრის სახით და უცხოეთშიც გვასახელებს.

,,დღეს, აქ შეიძლება ყველაზე უმთავრესი საკითხიც წყდება – დარჩება ქართული ღვინო თავის ტრადიციულ ჩარჩოებში თუ ისიც ,,გაევროპიელდება" და ხამანწკებზე დასაყოლებელ პიკანტურ სასმელად გადაიქცევა" – ამბობს ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, დიმა გოგიჩაძე.

ვესაუბრებით ფესტივალის ორგანიზატორს და სულის ჩამდგმელს, ქალბატონ ლალი მიქავას:

,,სულის ეკოლოგიის ფონდის" მთავარი ამოცანაა ქართველი ხალხის სულიერი აღორძინება მსოფლიოს სხვა ხალხებთ საზოგადოებრივი და კულტურულ ურთიერთობებით.

ფონდის მიზანი და ამოცანები პირდაპირ დაკავშირებულია ადამიანის სულიერებასთან, მის შემოქმედებით ურთიერთობასთან და დამოკიდებულებასთან საზოგადოების მიმართ, კულტურასთან, ისტორიასთან, რელიგიასთან, ბავშვების აღზრდასთან, ეთიკურ-ესთეტიკური და მორალური განათლების სფეროში ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის აღზრდის ახალი ფორმებისა და სისტემების შექმნასთან, რელიგიური ტოლერანტობისა და ყოველი თვიმყოფადი ნაციონალური კულტურის ინდივიდუალური განვითარების პროპაგანდასთან. ფესტივალის მეორე ეტაპია ტელეესტაფეტა, რომელიც გახდება ტრიბუნა და პროპაგანდისტი იდეებისა ,,ძმვიდობიანი კავკასია" და ,,აბრეშუმის გზა". ტელეესტაფეტის სერიების მიერ წამოჭრილი საკითხები, რომლებიც პერმანენტულად გაიმართება მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოთა დედაქალაქებსა და საპორტო ქალაქებში, დაკავშირებულია გარემოს, მსოფლიოს დედაქალაქების ეკოლოგიასთან – ურბანიზაციასთან, ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურებასთან. ამ საქველმოქმედო აქციის მიზანია მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღების მიქცევა სოციალურ, ეკოლოგიურ და კულტურულ პრობლემებთან, ეკონომიკური განვითარების აღორძინების კონსოლიდაციასთან, საქმიანი ცხოვრებისა და სახელმწიფოთაშორის კონტაქტების გამოცოცხლებასთან. მისი შედეგი იქნება ტელერადიო პროგრამის ,,მსოფლიო ეკოლოგიური სიახლენი"-ს შექმნა, რომელშიც ბუნების ეკოლოგიის გვერდით, განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს ადამიანის სულის ეკოლოგია.

ტელეესტაფეტის სერიები ჩატარდება ათი წლის განმავლობაში, ყოველ 6 თვეში, მსოფლიოს სხვადასხვა დედაქალაქში".

მაშ, ასე ფესტივალი, ,,ვაზის საგალობელი" დაიხურა, მაგრამ ვაზის საგალობელი საქართველოში კვლავაც ხმიანებს!

ბექა ჯაყელი

თბილისის მეტროპოლიტენი – ქართველების 35 წელი

პირველი მეტრო 1863 წელს ლონდონში გაიყვანეს, 1868 წელს კი, ნიუ-ორკში. რკინიგზის ხაზი უმეტესად, მიწის ზედაპირზე (ესტაკადაზე) გაჰყავდათ. შემდეგ უპირატესობა მიწისქვეშა ხაზებს მიენიჭა, რასაც ფანატიკოს მორწმუნეთა აღშფოთება მოჰყვა — ქვესკნელში სიარული როგორ შეი ძლებაო! ამის გამო ხაზს ქალაქის გარეუბნებში, უმეტესად, მიწის ჭრილში აკეთებდნენ. მსოფლიოში რიგით მესამე მიწისქვეშა რკინიგზა 1896 წელს აშენდა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში. გვირაბში ძველებური ტრამვაი გაუშვეს. ბუდაპეშტის პირველი მიწისქვეშა ტრამვაის, ავსტრიის იმპერატორი ფრან-იოსები მართავდა. შემდეგ იყო პარიზი (1900 წ.), ბერლინი (1902 წ.), ფილადელფია (1907), ჰამბურგი (1912), მადრიდი (1919 წ.), ბარსელონა (1924), ნეაპოლი და ათენი (1925 წ.), მოსკოვი (1935 წ.) და სხვ.

საქართველოში კი ყველაფერი ასე დაიწყო:

მეტროპოლიტენის გაყვანის იდეა თბილისში ჯერ კიდევ 30-იან წლებში გაჩნდა, როცა მოსკოვში მეტროპოლიტენის მშენებლობის სამუშაოები უკვე მიმდინარეობდა. ამ იდეას, განსაკუთრებით აქტიურად, უჭერდა მხარს იმდროინდელი ქალაქის მთავარი არქიტექტორი, ზაქარია ქურდიანი, აგრეთვე, თბილისისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, დღევანდელი ცეკავშირის შენობის და ავლაბრის მეტროს მახლობლად, დაიწყეს კიდეც საკვლევი სამუშაოები, მაგრამ მათ შემდგომ გაგრძელებას მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი.

მოგვიანებით, 1952 წლის აგვისტოს, გამოიცა მინისტრთა საბჭოს დადგენილება, მეტროპოლიტენის მშენებლობის შესახებ. ამ ფაქტს საქართველოში სტალინის ვიზიტი უძღოდა წინ – იგი, ექიმთა რჩევით, ლიკანში ისვენებდა და არცთუ დიდი ფიქრის შემდეგ დაეთანხმა იმდროინდელი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა აზრს, თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობის აუცილებლობის შესახებ. იმ დროს დედაქალაქის მოსახლეობა ჯერ კიდევ არ აღწევდა მილიონს, არადა, ეს ერთ-ერთი მთავარი პირობათაგანი იყო ამ საკითხის დადებითად გადასაწყვეტად.



მეტროპოლიტენის ელექტრომომარაგების ტელემართვის სისტემა

მშენებლობის უფროსად უკვე გამოცდილი სპეციალისტი გიორგი ნასიძე დაამტკიცეს, რომელსაც სათანადო პრაქტიკა მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე ქონდა გავლილი. პროექტის მიხედვით, „დიდუბიდან", „სამასი არაგველის" ჩათვლით, ცხრა სადგური უნდა აგებულიყო, მაგრამ... 1953 წლის 7 სექტემბერს, მინისტრთა საბჭოს, უკვე საპირისპირო, ანუ მშენებლობის ლიკვიდაციის დადგენილება გამოაქვს და მიმდინარე სამუშაოები ჩერდება. ამ დროისათვის, „ვაგზლის მოედანსა" და „მარჯანიშვილს" შორის უკვე კილომეტრზე მეტი გვირაბია გაყვანილი. პარალელურად მოხდა ბაქოსა და კიევში მშენებარე მეტროპოლიტენის კონსერვაცია. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ყოველივე ამის უკან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი მალენკოვი იდგა, რომლის აზრს, როგორც ამბობენ, თავად იოსებ ბესარიონის ძე უწევდა ანგარიშს.

ვასილ მუკანაძის ძალისხმევით, მეტროს ლიკვიდაციის გრძანებამ, თბილისის შემთხვევაშიც, კონსერვაციის გრძანებით იცვლება და ის მიზერული თანხა, რომელიც საჰაერო თავდაცვისათვის საჭირო გვირაბების გამოსაყვანად იყო გამოყოფილი, ისევ მეტროპოლიტენის მშენებლობას ხმარდება მალულად, მაგრამ... როგორც ყოველთვის, ციხე ისევ შიგნიდან გატყდა. ვიღაცამ საკავშირო ცკ-ში იჩივლა და ყველაფერი დაწვრილებით „მოახსენა უფროსს". აბა მაშინ იყო თუ იყო კომისიები და... მათაც არ დააყოვნეს! საკითხის საბოლოოდ გასარკვევად, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, გივი ჯავახიშვილი და „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს უფროსი, ვიქტორ გოცირიძე მოსკოვში გამოიძახეს, განმარტების მისაცემად.



საკითხის განხილვის დროს, ერთ-ერთმა დამსწრემ უხეშად მიმართა ქართველებს: „რატომ არღვევთ ქართველები წესრიგს?", ამაზე გივი ჯავახიშვილს ასევე უხეშად და მკვახედ უპასუხია: „ვიდრე რამეს იტყოდეთ, დაფიქრდითო!" უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა თურმე, თუმცა... უმრავლესობამ მხარი მაინც ქართველებს დაუჭირა და მეტროპოლიტენის მშენებლობის საკითხიც დადებითად გადაწყვეტილა. საღმა აზრმა გაიმარჯვა და იმ დღიდან მეტროს მშენებლობა დამკვიდრებული ტემპებით გაგრძელდა. მოსკოვში, ეს ამბავი, ქართულ დელეგაციას რესტორან „არაგვში" აღუნიშნავს, სადაც გივი ჯავახიშვილს უკლებლივ ყველა დაუპატიჟია, მომხრეც და

გურამ გაბუნია

მოწინააღმდეგეც.

უნდა ითქვას, რომ ამ იდეას ალტერნატივა არც გააჩნდა, რადგან მეტროპოლიტენს, ყველა ქვეყანაში, გარდა პირდაპირი დანიშნულებისა, უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც გააჩნია – ომის და ექსტრემალური სიტუაციების დროს იგი თავდაცვით ფუნქციას ასრულებს - მიწისქვეშა ქალაქს ეს მისია დღემდე აკისრია.

1957 წელს, გვირაბმშენებლობას ვიქტორ გოცირიძე ჩაუდგა სათავეში და... 1966 წლის 11 იანვარს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მეტროპოლიტენის ექვსი სადგური: „დიდუბე", „ელექტროდეპო", „სადგური", „მარჯანიშვილი„ და „რუსთაველი". ამ მიწისქვეშა ელექტრომაგისტრალის საერთო სიგრძე იმ ხანად 6,28 კმ-ს შეადგენდა.

დღიდან ექსპლუატაციაში გაშვებისა თბილისის მეტროპოლიტენი სრული დატვირთვით ემსახურება დედაქალაქს. მისი მაღალკვალიფიციური კადრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ექსტრემალურ პირობებშიც ახერხებენ სათანადო სიმაღლეზე დგომას და უზრუნველყოფენ მეტროპოლიტენის შეუფერხებელ მუშაობას. მხოლოდ მათი გმირობის ტოლფასი შრომის შედეგია, რომ ამ მართლაც „დემოკრატიული ტრანსპორტის" სიკეთე არც მაშინ მოგვკლებია, როცა ყველაზე მეტად უჭირდა ქალაქს, როცა ყველაფერი გაჩერდა, ქუჩებში კი სროლა და სრული ქაოსი სუფევდა.

ღვთის წყალობით, მეტროპოლიტენი დღესაც ძველებურად აგრძელებს თავის რიტმულ ცხოვრებას. ალბათ იმავე ღვთის წყალობა და შეწევნაა, რომ იმ ბობოქარი მოვლენების დროს, მეტროპოლიტენის კოლექტივს, ჭეშმარიტი პროფესიონალი, საქმის უჩოომოდ ერთგული და, რაც მთავარია, კაცური კაცი ედგა სათავეში. სწორედ ბატონ გურამ გაბუნიას უდიდესი დამსახურებაა, რომ თბილისის მეტროპოლიტენმა ამ ტოტალური ნგრევის წლებში არათუ შეწყვიტა თავისი არსებობა, არამედ, წინსვლა და განვითარებაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მოახერხა. კოლექტივის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ სათადარიგო ნაწილები, რომლებიც როგორც მოგეხსენებათ, „ძვირფასი" საბჭოური ტრადიციის მიხედვით ჭანჭიკ-ჭანჭიკ ს\ssრკ-ს სხვადასხვა წერტილიდან იყრიდა საბოლოოდ თავს ერთ ქარხანაში, ამჯერად, ადგილზევე, ქუთაისის და თბილისის ქარხნებში მზადდება. თუმცა, არის ნაწილები, რომელთა დამზადება ადგილზე ვერ ხერხდება: „საამისოდ, უკვე აღვადგინეთ კავშირები რუსეთსა და უკრაინასთან, ხოლო მოსკოვის ერთ-ერთ დიდ ქარხანასთან საინტერესო ურთიერთობები დავამყარეთ" – გვითხრა ბატონმა გურამმა და დასძინა: „დეპოს ტერიტორიაზე გაკეთდა რუსეთ-



ტებული ვაგონებით დაკომპლექტებული მატარებლით იმგზავრა. მხოლოდ ურთიერთსასარგებლო საქმიანი ურთიერთობების აღდგენით, ახალი კავშირების დამყარებით და მუხლჩაუხრელი შრომით მივაღწევთ ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას. მსოფლიო ბანკმა გამოგვიყო კრედიტი, რომლის მეშვეობითაც დაინერგა ენერგოსისტემების ტელემართვა, ამჟამად, იგი საცდელ ექსპლუატაციაშია" – აცხადებს საქართველოს ერთობლივი საწარმო, რომელშიც პარტნიორებმა 2 მილიონ დოლარამდე ჩადეს. ესაა, ქარხანა თანამედროვე აღჭურვილობით და დანადგარებით. ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით შევძელით აქ მომუშავე სპეციალისტების მომზადება. დღეისათვის, ამ ქარხანაში უკვე მრავალი ვაგონი გარემონტდა. ჩვენ გვეამაყება, რომ ვაჟა-ფშაველაზე ახალი სადგურის გახსნის დღეს, საქართველოს პრეზიდენტმა. სწორედ, თბილისში გარემონ-

მეტროპოლიტენის თავკაცი.

უნებურად გახსენდება ახლო წარსული, როცა ყველაფერი საბჭოური, იდეოლოგია, გრანდიოზული მშე-ნებლობები და ა.შ. „ანტისაბჭოურ სეკვესტრში" მოყვა. შეჩერდა ხუდონჰესის მშენებლობა, ნულამდე დავიდა წარმოება, რომელსაც სასიცოცხლო არტერიები ანუ სარკინიგზო მაგისტრალები გადაუჭრეს. ღვთის შეწევნით, მეტროს წყლით ამოვსება არ მოსვლია თავში რომელიმე, ჯერ კიდევ უმწიფარ, „მწვანე პოლიტიკოსს", თორემ ხომ დავრჩებოდით დღეს ამ სასიცოხლო არტერიის გარეშე?!. თბილისის მეტროპოლიტენი 35 წელია ერთგულად და თავდადებით ემსახურება მშობლიურ ქალაქს, თავდადებით რადგან მის კოლექტივს ხშირად შეუძლებლის ზღვარზე უხდება მოღვაწეობა.

ალექსანდრე გურული

ბუდაპეშტში, მეტროს პირველ მატარებელს პრინცი მართავდა, თბილისში, ხაშურელი კაცი

ბუდაპეშტისგან განსხვავებით, თბილისში პირველი მეტროს მატარებელი, ავსტრიის პრინცმა კი არა, ხაშურელმა კაცმა ნოე ლაცაბიძემ წაიყვანა. იგი იხსენებს:

მხოლოდ ორი დღით ადრე მითხრეს, პირველი მატარებელი რომ უნდა გამეტარებინა მეტროში. მემანქანის კაბინაში სამმართველოს უფროსი ოთარ ბერიძეც ჩაჯდა. შემადგენლობა სამ ვაგონიანი იყო. სანამ მატარებლით გავივლიდი, დიდუბიდან, რუსთაველამდე, მთელი მიწისქვეშა გზა ფეხით გავიარე, თან გვირაბების კონსტრუქტორი და მშენებელი, ვიქტორ გოცირიძეც მახლდა. ვამოწმებდით, რაიმე ინციდენტი რომ არ მომხდარიყო. „რუსთაველზე", წითელი ლენტი, ცკ-ს პირველმა მდივანმა, ვასილ მჟავანაძემ გაჭრა. მიტინგზე სიტყვით მეც უნდა გამოვსულიყავი, მაგრამ მატარებლის საჭეს არ მოვცილებივარ, რადგან როცა კიევში მეტროს ხსნიდნენ, მიტინგზე, პირველი მატარებლის მემანქანეც ჰყავდათ მიწვეული და სწორედ იმ დროს, როცა მას თავისი საპატიო მისია უნდა შეესრულებინა, მატარებელი ადგილიდან არც დაიძრა. როგორც ჩანს, ვიღაცამ სპეციალურად დააზინა იგი. იგივე რომ არ განმეორებულიყო, მიტინგს არ დავსწრებივარ.

მოწვეული სტუმრები ვაგონებში ჩასხდნენ – მატარებელი „დიდუბის" სადგურამდე მივიყვანე. მათზე წინ კი, მეტროს მშენებლები გადავიყვანე 'დიდუბიდან", „რუსთაველზე". ეს მოხდა, 1965 წლის 27 ნოემბერს, 1966 წლის 11 იანვარს კი, მეტრო ყველასთვის გაიხსნა. საბურთალოს ხაზზეც პირველად მე გავატარე, მატარებელი და ვიდრე ხაზზე მატარებლით გავივლიდი, 1979 წლის 26 აგვისტოს წინა ღამეს, „ვაგზლის მოედნიდან", „დელისამდე", ფეხით ავედი

ნოე ლაცაბიძე

და ჩამოვედი.

ხაზზე ბევრი რამ იყო მოუწესრიგებელი დ გავასუფთავებინე დილის 6 საათზე, სამმართველოს უფროსს, გურ გაბუნიას, ვუპატაკე, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და გახსნა შეიძლებოდა. მე მიხარია, რომ ჩვენი შრომა დაფასდა, მეტროპოლიტენი ხალხმა შეიყვარა, იგი, თანდათან, ქალაქის ყველაზე სწრაფ და იაფ სატრანსპორტო საშუალებად იქცა.

მაიკო გურული

ძვირფასო მგზავრებო,
მოგიწოდებთ ისარგებლოთ მეტროპოლიტენით!

აქ თქვენ გელით ზამთარში თბილი, ხოლო ზაფხულში გრილი მიკროკლიმატი. 2-4 წუთი ინტერვალით მოძრავი ცისფერი ექსპრესები დაუყოვნებლივ უზრუნველყოფენ თქვენს უსაფრთხო გადაადგილებას სასურველი მიმართულებით.

გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკის ახალი ომი თუ ომი ახალი ამერიკისთვის?

არქიტექტორ, ოთარ ნაჭყებიას სხვა, ფრიად საპატიო პროფესიაც აქვს - იგი, მაშველი და, იმავდროულად, კაპელანიც გახლავთ. იგი ექსტრემალური სიტუაციების დროს (მიწისძვრები, სტიქიით გამოწვეული კატაკლიზმები და სხვ.), მუდამ პირველი იყო ჩვენი ქვეყნიდან. ტაშკენტი, სპიტაკი, ონი-საჩხერე, თურქეთი... აფხაზეთშიც მხოლოდ მაშველის ფუნქციით მონაწილეობდა, რადგან თავიდანვე მიაჩნდა, რომ ეს დანაშაულებრივი, ძმათამკვლელი კონფლიქტია, სხვათაგან წაქეზებული.

გვაინტერესებდა მაშველის აზრი ამერიკაში მომხდარ კატასტროფაზე, მაგრამ... დიალოგმა მოულოდნელი და მეტად

საინტერესო ხასიათი მიიღო, ამიტომ მას მონოლოგის სახით შემოგთავაზებთ...

დღეს უკვე აქტიურად ცდილობენ ამერიკაში მომხდარი ტრაგედიის ახსნას. არსებობს ათასგვარი ვერსია, რომლებშიც ემოცია პრივალირებს, მაგრამ ამგვარი მოვლენები მხოლოდ ცივი გონებით უნდა შეფასდეს, რისთვისაც, უმჯობესია, ისტორიულ წიაღსვლებს მივმართოთ.

ვიქტორ სუვოროვი, საბჭოთა პროფესიონალი მზვერავის, ვ. რეზუნის ფსევდონიმია, რომელიც 1978 წელს „გადაბარგდა" დიდ ბრიტანეთში. მისი წიგნი „День - „М", თითქმის 100-ჯერ გამოიცა, 21 ენაზე. იგი საუკეთესო ჟურნალისტურ გამოძიებადაა აღიარებული, ავტორს, მისი ნაშრომებისათვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში აკადემიკოსის ტიტულიც მიენიჭა. ჩემის აზრით კი, მისი ნაშრომების მთელი სერია იმდენად ყოვლისმომცველია, რომ რიგითი მსტოვრის ძალისხმევას და კომპეტენციას ბევრად აღემატება; ეჭვი არაა, დიდი რუსი მხედართმთავრის გვარს, საკმაოდ სოლიდური ინსტიტუტი ამოფარებია და გვიმტკიცებს, რომ დიდი სამამულო ომი, თურმე, სსრკ-ს უნდა დაეწყო 1941 წლის 6 ივლისს, მაგრამ ჰიტლერმა, სულ რაღაც ორი კვირით დაასწრო მოვლენებს....

ავტორს, ამ მოსაზრებაში არც ვედავები, ერთი რამ კი მინდა ვთქვა - ევროპაზე უეცარი აგრესიის ავტორი და ინიციატორი, არა წიგნის ყდაზე დახატული „დიქტატორი სტალინი", არამედ „დიქტატორი პოლიტბიუროა", მისი სრული შემადგენლობით, რომელსაც, ამ წიგნს თუ ვერწმუნებით, მსოფლიო ომის მეშვეობით, პროლეტარიატის დიქტატურის გავრცელება სურდა მთელ პლანეტაზე, რადგან მარქსიზმ-ლენინიზმი სწორედ მსოფლიო ომს მიიჩნევდა ამ მისიის შესრულების ყველაზე კარგ საშუალებად. სტალინი-ჯუღაშვილი კი (და არა „ერთმმართველი" სტალინი), ამ დროს, იმავე პოლიტბიუროს მიერ „გამოწერილი საგზურით", შორს, ენისეს სათავეებთან და ულამაზეს საიანებში „ისვენებდა" და ლენინის გორკებისა არ იყოს, რომ არა 22 ივნისი, ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს მოუწევდა იქ ყურყუტი. იმავე პერიოდში, პოლიტბიუროს მიერ დაჭერილი სტალინის ერთგული მხედართმთავრებიც დახვრეტას ელოდებოდნენ!

მოვლენების მოულოდნელი განვითარებით, ანუ ჰიტლერის ელვისებური ბლიცკრიგით შოკირებული პოლიტბიურო, წელში მოხრილი ევედრებოდა კობას დედაქალაქში დაბრუნებას, რასაც დიდი ხვეწნა და სრული ორი კვირა დასჭირდა – ყველას კარგად ახსოვს როდის გამოჩნდა იგი ომის დაწყების მერე, პირველად, მოსკოვში! აი, მხოლოდ ამის შემდეგ აღიჭურვა სტალინი აბსოლუტური ძალაუფლებით – დაუყოვნებლივ შექმნა ზესამთავრობო სტრუქტურა - ,გოკო" (Госкомитет обороны), პოლიტბიუროს გაანთავისუფლებინა რეპრესიებს გადარჩენილი მისი ერთგული მხედართმთავრები და თანამდებობებზე აღადგინა, ფრონტი კი ჟუკოვს ჩააბარა. ამავე დროს, პოტენციურ მოკავშირეებთან უპრეცედენტო კავშირი დაამყარა - კაპიტალისტურ სამყაროსთან ყოველგვარი ურთიერთობა ქვეყნის იდეოლოგიას და აქედან გამომდინარე მის ინტერესებსაც ეწინააღმდეგებოდა – როგორც ჩანს ტყუილად არ დაფრინავდა თავის დროზე ჩკალოვი ამერიკაში, რაკიღა მან ასე სწრაფად და იოლად მოახერხა რუზველტისა და ჩერჩილის გულის მონადირება! მათი დახმარების შედეგი, ჯერ მოსკოვთან, ხოლო შემდეგ სტალინგრადთან გამარჯვებაშიც გამოჩნდა, რასაც, მოგვიანებით, თეირანში დიდი სამეულის შეხვედრის შემდეგ, მეორე ფრონტის გახსნაც მოჰყვა.

მაშ, ასე, სუვოროვის ვერსიით, ევროპაზე 1941 წლის 6 ივლისისათვის დაგეგმილი „ლომის ნახტომი" ჩაიშალა, ბუმერანგად მობრუნებულმა ომის ტალღამ, სულ რაღაც ოთხ თვეში, მოსკოვს უწია. ომის ვექტორის მოულოდნელმა ცვლილებამ ნათელი გახადა, რომ ევროპის ავტოსტრადებზე საჯირითოდ გამიზნულმა, მასიური წარმოების მსუბუქმა და სწრაფმავალმა საავტოსტრადო ტანკმა („.ბტ") ასპარეზი დაკარგა და საომარი მოქმედებებიდან გამონთავისუფლდა, როგორც თავდაცვითი ხასიათის ომისათვის სრულიად გამოუსადეგარი. სტალინმა, ოთხი თვის განმავლობაში, მართლაც რომ რეკორდულ დროში, მოახერხა შეტევის სტრატეგიიდან, თავდაცვის სტრატეგიაზე და შესაბამის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე გადასვლა. საქმეში - „ტ-34" ჩაერთო, რომელიც შემდეგ ბერლინამდე მივიდა, ცაში კი, უძლიერესი „შტურმავიკები" გამოჩნდნენ, რომლებსაც „მფრინავ ციხე-სიმაგრეებს" უწოდებდნენ.

საინტერესოა, რა ბედი ეწია სწრაფ თავდამსხმელ თვითმფრინავ-აგრესორს, თავდაცვითი ომისთვის გამოუსადეგარ - „ივანოვს"?! სუვოროვიც სწორედ ამ კუთხით სვამს კითხვას და იქვე სცემს პასუხს, ოღონდ მხოლოდ მინიშნებით.

იმ დროს, მისი თქმით, სსრკ-ს, სხვა ქვეყნებთან შედარებით მძლავრი ავიაწარმოება ჰქონდა, მარტო სტრატეგიული დანიშნულების „ტბ-7" რად ღირდა, რომელსაც ომის პირველივე წუთებში შეეძლო მტრის უდიდესი ქალაქების და სამხედრო ობიექტების ნაცარტუტად ქცევა! იგი, ავტორის აზრით, სერიულად მხოლოდ იმიტომ არ აწარმოეს, რომ სსრკ-ს, ანუ მის მმართველ პოლიტბიუროს (და არა სტალინს!), ისევე როგორც მოგვიანებით ჰიტლერს, ფსონი ომის უეცარ მოგებაზე ჰქონდა დადებული და მტრის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის ხელში უვნებლად ჩაგდებას ფიქრობდა. ეს

რომ პოლიტბიურო იყო და არა ჯუღაშვილი (პირადად, მე ასე ვთვლი და ეს წიგნი მხოლოდ ადასტურებს ჩემს ეჭვს! –ო.ნ), იქიდანაც ჩანს, რომ წიგნში დახატული სტალინი სულაც არ გავს იმ კერპ და ჯიუტ დიქტატორს, რომელსაც სახელმძღვანელოებში გვიხატავდნენ - ის მერყევია და „ტბ-7"-ის სერიულ წარმოებაში გაშვებაზელამის ყოველ კვირაში იცვლის აზრს - ხან აწერს ბრძანებას ხელს, ხანაც ცივ უარზეა!

შესაბამისად, გერმანიის მოკავშირე იაპონიასაც, იგივე სტრატეგია ქონდა არჩეული, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ეს უკანასკნელიც შეტევითი ხასიათის, მსუბუქ, „ივანოვის" ტყუპისცალ, „ნაკაძიმას" უშვებდა (თუ ნაწილებისგან აწყობდა, იაპონიის მრეწველობა ხომ მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში სხვისი პატენტების ათვისებით ვითარდებოდა?!).

იმ დროის ამბებში, ასე თუ ისე ჩახედულ ადამიანებს კარგად ახსოვთ იაპონიის (ამ დროს უკვე სსსრკ-ს ოფიციალური მტრის და გერმანიის მოკავშირის!) ელჩის მოსკოვიდან გაცილების უცნაური და გასაიდუმლოებული რიტუალი, რისთვისაც, თურმე, თავად სახელმწიფოს პირველმა პირმა შეიწუხა თავი. იაპონიის ელჩი, ყველა დიდი სადგურიდან, დაშაქრულ დითირამბებს უგალობდა და მადლს სწირავდა იოსებ ბესარიონის ძეს, საინტერესოა, რისთვის?! ფაქტი ისაა, რომ ამის შემდგომ საბჭოეთს, შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიის მხრიდან საფრთხე აღარ დამუქრებია – მისი აგრესიის ვექტორი სამხრეთ აზიისკენ და წყნარი ოკეანისკენ გადაიხარა... იმავე წლის დეკემბერში კი, ამერიკა პიერლ ჰარლბორის ტრაგედიამ შეძრა...

ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტზე თავდასხმაში 190 თვითმფრინავი მონაწილეობდა, დაღუპულთა რიცხვმა კი, მაშინაც 5 ათასს მიაღწია. მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცამ გაითვალისწინა, რომ 7 დეკემბერი, კვირა, დასვენების დღე იყო. დასჯითაც, თქვენ წარმოიდგინეთ, არავინ დასჯილა - ამერიკელი მხედართმთავარი, გვარად მარშალი, გამოძიების წინაშე კი წარსდგა, მაგრამ თავი სასწაულად დაიძვრინა!

სუვოროვის წიგნი ააშკარავებს, რომ ომის წინ მხოლოდ დიდი საბჭოეთი ახორციელებდა სამთვიანი ჩქარაოსნული მეთოდით აგრესიისათვის გამიზნული და სათანადო სამხედრო განათლების არმქონე, უბრალო სერჟანტის დონის რობოტ-მფრინავების მომზადებას. რა არის ეს თუ არა კამიკაძე, რომლის სახელიც ისევ ამოტივტივდა დღეს?! ამგვარი მფრინავების ზეამოცანა მოულოდნელ, შემტევ აგრესიას გულისხმობდა და დიდი დოზით გამორიცხავდა თავდაცვით ელემენტებს, ამის გამო, ისინი, თავიდანვე პოტენციურ

იაპონური თვითმფრინავი „ნაკაძიმა"

საბჭოთა თვითმფრიანავი „ივანოვი" - „სუ-2"

ორივე საბრძოლო მანქანა თვითმფრინავი-აგრესორია, ისინი მოულოდნელი თავდასხმისათვის და ზეცაში სრული ბატონობის პირობებში სამოქმედოდაა შექმნილი.

შინმოუსვლელებად ითვლებოდნენ. ავტორის აზრით, ამას, მხოლოდ, ისევ ის, ერთადერთი ახსნა აქვს, რომ სსრკ-ს, თავიდანვე ევროპაზე უეცარი თავდასხმის და არა თავდაცვის სტრატეგიაზე ქონდა კურსი აღებული. ამავე კონტექსტში განიხილავს, ავტორი, პიერლ ჰარბორზე 1941 წლის, 7 დეკემბრის თავდასხმაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილე იაპონური წარმოების ,,ნაკაძიმას" და საბჭოთა ,,ივანოვს" (,,სუ-2") და მათ გასაოცარ მსგავსებაზე საუბრობს. იგი ამბობს: ,,რა შუაშია აქ მშობლიური, საბჭოთა ,,ივანოვი"?! იმ შუაშია, რომ ის, იაპონური თვითმფრინავ-აგრესორის ზუსტი ასლია, ორივე საბრძოლო მანქანა, საგანგებოდ, მოულოდნელი თავდასხმისათვის და საჰაერო სივრცეში სრული ბატონობის სიტუაციაში გამოსაყენებლად იყო შექმნილი" (იხ. სურათი).

პირველი გაფრენა, 1937 წლის 6 იანვარს, ჯერ ,,ნაკაძიმამ", ხოლო შემდეგ იმავე წლის 25 აგვისტოს ,,ივანოვმა" განახორციელა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ის დროა, როცა საბჭოთა ავიაკონსტრუქტორ ტუპოლევს, ,,მესერშმიდტისთვის" ზომაზე მეტი ინფორმაციის გადაცემაში ადანაშაულებენ - ტექნოლოგიების ,,ჩეინჯი" მაშინაც არ ცნობდა საზღვრებს და იდეოლოგიურ ბარიერებს!

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინდელ იაპონიას არც უმაღლესი კვალიფიკაციის ავიაკადრები და არც სათანადო ავიასამრეწველო ბაზა არ გააჩნდა, ვთქვათ, ისეთი მასშტაბის ოპერაციის განსახორციელებლად, როგორც პიერლ ჰარბორზე თავდასხმაა. ისიც დიდად საინტერესოა, საიდან ,,ჩამობარდნა" პიერლ ჰარბორშ ამდენმა ,,კამიკაძემ"?!

იაპონური კამიკაძის რაინდული ინსტიტუტის ფენომენის არსი, მოგეხსენებათ, გადმოცემით, სულ სხვა რამეს გულისხმობს. კამიკაძე, სულაც არაა ზომბი და უაზრო თვითმკვლელი. ესაა კაცი, რომელიც შეგნებულად ეწირება იდეას ან მის მბრძანებელს. ეს სრულიად არ გამორიცხავს, პირიქით, სწორედ რომ გულისხმობს, მისი არამხოლოდ სიკვდილის შემდგომ, არამედ თვით სიცოცხლეშივე გმირად და შეწირულ წმინდანად აღიარებას; მან კი, ვინც პიერლ ჰარლბორისთვის იაპონური მითოლოგიის სკივრიდან, კამიკაძის სული გამოიძახა, სწორედ ეს უზენაესი პრინციპი დაარღვია – პიერლ ჰარლბორის უსახო კამიკაძეები, ჭეშმარიტი რაინდი კამიკაძეებისაგან განსხვავებით, უკვალოდ გაქრნენ... საინტერესოა, რატომ, რა საიდუმლო დაიმარხა მათთან ერთად წყნარი ოკეანის სიღრმეში?!

2001 წლის, 11 სექტემბერი... ეკრანებზე მომენტალურად ჩნდება წარწერა - America under attack, ანუ ,,თავდასხმა ამერიკაზე", რომელიც 13-14-ში ასევე მომენტალურად იცვლება - america's new war ანუ ,,ამერიკის ახალი ომი"-თ, თუმცა, ჯერ, საფუძვლიანად, მტერიც არ არის ცნობილი. და მსოფლიო ისევ ალაპარაკდა... ოღონდ, ამჯერად, ფუნდამენტალისტ-მუსულმან ,,კამიკაძეებზე"!

მაშ, ასე, ლოგიკის მიხედვით, იაპონიას არანირი პირობა, მით უფრო არც სათანადო მოტივაცია არ გააჩნდა პიერლ ჰარლბორზე თავდასასხმელად და ამერიკის უკვე საკმაოდ მოძველებული ტექნიკის გასანადგურებლად. არც მას და, მით უფრო არც გერმანიას, აქამდე ევროპაში ომის მიმართ სრულიად ინდეფერენტული აშშ-ს მოსისხლე მტრად მოიდება ხელს არ აძლევდა, ვინაიდან, ბლიცკრიგის გამარჯვებაში ღრმად და ბრმად დარწმუნებული ჰიტლერი ამ დროს მოსკოვში პარადისთვის ემზადებოდა! მაშ, ვის აწყობდა პიერლ ჰარლბორის ტრაგედიის ფაქტორი? მივყვეთ ლოგიკას!

არ დაგვავიწყდეს, ეს ისევ ის ამერიკაა, იგივე კონგრესით, რომელიც თუ ქვეყანას მეტაბოლისტური მასშტაბის ტრაგედია არ დაატყდა თავს, სამოქმედოდ ხელ-ფეხს არ უხსნის თავის პრეზიდენტს. სწორედ პიერლ ჰარლბორით გახდა შესაძლებელი ამერიკის მსოფლიო ომში ჩართვა - იგი მხოლოდ ამის შემდეგ ხდება იძულებული საბჭოთა კავშირის მოკავშირეობა იკისროს და რაც მთავარია, სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი გერმანიის ბლიცკრიგის დასასრულს. რაც შეეხება იაპონიას, მას ეს გამოხტომა, მოგვიანებით, ხიროსიმად და ნაგასაკად დაუჯდა. თავად ამერიკა კი, თუკი დავფიქრდებით, საბოლოო ჯამში (რამდენადაც მკრეხელურად არ უნდა მოგეჩვენოთ ამის განცხადება!), პიერლ ჰარლბორის ბლიცკრიგით მოგებულიც კი დარჩა, რადგან მხოლოდ ამის შემდგომ გახდა შესაძლებელი მისი სამხედრო პოტენციალის იმ მასშტაბებამდე გაზრდა, რომ მსოფლიო ბატონობაზე ეფიქრა და თამამად გადაშვებულიყო ცივი ომის მღელვარე ტალღებში! აშშ-ს მორალურად და მატერიალურად მოძველებული წყნარი ოკეანის სამხედრო ფლოტის დაღუპვამ, ახალი, უფრო მძლავრი საზღვაო არმადის შექმნას დაუდო სათავე, ავიაძალებმა მეორე სიცოცხლე და არნახული მასშტაბები შეიძინეს, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა უსწრაფესი ტემპებით და გიგანტური ნაბიჯებით იწყო განახლება-განვითარება. რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს მაგალითი, რომლის ყველა შედეგიც მხოლოდ წლების გადასახედიდან გახდა საცნაური, ცხადყოფს, რომ ომი, უდავოდ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და წარმოების გიგანტური მასშტაბების სტიმულატორია. რაც შეეხება გიგანტურ სახელმწიფოებს, როგორც დავრწმუნდით, ისინი ასეთ დროს საოცარ სოლიდარობას იჩენენ და



მოკავშირეები ხდებიან, ამიტომ ჭირდებათ პატარა სახელმწიფოებს უდიდესი სიფრთხილე სწორედ ასეთ დროს, მით უფრო თუ გეოსტრატეგიულად მათი ინტერესების გადაკვეთის და მუდმივი დაპირისპირების ზონაში იმყოფებიან.

დღესაც უამრავი კითხვაა საპასუხო, თუმცა იმდროინდელ კითხვებზეც არ გაცემულა ჯერ სწორი პასუხი... ამის გამოა, რომ პორტარტურიდან მოყოლებული, ინერციით, ჯერ ისევ ძველი სტერეოტიპებით ვაფასებთ მოვლენებს, რასაც ყველა რჯულის დეზინფორმატორები ,,კარტ-ბლანშად" იყენებენ თავისი პირადი პოლიტიკანური ამბიციების დასაკმაყოფილებლად. მათ კატეგორიას ეკუთვნის ,,ყოვლისმცოდნე და ნათელმხილველი" ნემცოვიც, თავის თაგვებს სხვის ბელელში, რომ ეძებს და თურმე უეჭველად იცის, რომ ნიუ-იორკსა და პენტაგონში ტერაქტის ჩამდენებმა, ,,ბოინგის" მართვა, ჩეჩნეთ-პანკისის მგლის ბილიკებზე ისწავლეს(?!)

მოდით, ამ კუთხით შევაფასოთ 21-ე საუკუნის დასაწყისის, აქამდე არნახული სითავხედით ჩადენილი მეტაბოლისტური ტრაგედია და იგივე კითხვები დავსვათ, რომელსაც პასუხი ალბათ ისევ შედეგებით გაეცემა სულ ახლო მომავალში, თუკი ,,დანარჩენ მსოფლიოს" ეყოფა სიბრძნე შეინარჩუნოს სიმშვიდე და ძველებურად არ აყვეს გიგანტური სახელმწიფოს, გიგანტურ, მეტაბოლისტურ ფანტაზიებს – ნუ დაგვავიწყდება, რომ ,,ამერიკის ახალი ომი" (amerika"s new war), ამერიკელთა პირადი საქმე და აშშ-ს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კუთვნილი ,,ბიზნეს-პროექტია".

გავიხსენოთ ,,სოის" პროგრამა და მისი უზომო ხარჯთაღრიცხვა. საინტერესოა, რას გაიმეტებს, ამჯერად, მსხვერპლის მასშტაბით შეძრწუნებული კონგრესი, რომელმაც ცხელ გულზე უკვე 40 მილიარდი დოლარი გამოყო შურისძიებისათვის და პრეზიდენტის მიერ მოთხოვნილი თანხა გააორმაგა?! ეს სუფთა ამერიკული მოვლენაა! რაც შეეხება რუსეთს, მტერი მოსკოვს თუ არ მოადგა, ან რომელიღაც ცხვირმოუხოცავმა მოზარდმა, ,,ეგ შენ მთავრობის ცხვირწინ, წითელ მოედანზე არ განახორციელა ავიატრიუკი, არც ბრძოლაზე იფიქრებს და არც ,,პერესტროიკისთვის" შეიწუხებს თავს! ყველა ჯურის ,,ნემცოვების, ჟირინოვსკების და ლეონტიევების" გასაგონად კი მინდა დავსძინო, - ამერიკა ის ქვეყანაა, რომელსაც შარიც შეიძლება ხეირად ექცეს! გაიხსენეთ ცნობილი ფილმი ,,შესანიშნავი შვიდეული", რომელიც იაპონური ფილმის ,,შვიდი სამურაის" ამერიკული ვერსიაა. ფილმის ფინალში, კითხვაზე - ,,მაინც ვინ მოიგო ომი?", პასუხი, ასეთია - ,,ფერმერებმა", ე.ი. ხალხმა! საქმეც იმაშია, რომ ამერიკის შემთხვევაში, ომიც კი, საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას, მათ მასიურ დასაქმებას გულისხმობს ამ ქვეყნის ხელისუფალთაგან, მაშინ როცა რუსული, ნავფტალინმოყრილი ,,ველიკოდერჟავული" მენტალიტეტის გამო მათხოვრად ქცეული ,,ნემცოვების" სამშობლო და ,აქედან გამომდინარე, მთელი ის სივრცე, რომელზეც მისი გავლენა ამა თუ იმ ფორმით ვრცელდება, ოდნავი რყევისგანაც მამრავლებად იშლება.

მათი უბედურება იმაშიაცაა, რომ ისინი აღარც გარეგნულ ფორსებს დაგიდევენ და ამგვარი ტრაგედიის ხარჯზეც თავისი უზნეო და მართლაც ტერორისტული პოლიტიკის გატარებას ცდილობენ უტიფრად, ეს ცხადზე ცხადია! სხვა რა შეიძლება, ეწოდოს მთელი მოდგმის განადგურებას, მე ვგულისხმობ ჩეჩნებს, რომლის ცოდვაც ისევ მსხვერპლთ უნდათ მიაწერონ. ეს სწორედ ზესახელმწიფოთა იმ მავნებლურ კავშირზეც მიანიშნებს, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელსაც ისინი მიმართავენ სხვისი რეგრესირების ხარჯზე, საკუთარი პროგრესირებისათვის.

რაც შეეხება დემოკრატიულ ამერიკაში პრეზიდენტების ერთი და იგივე გვარის განმეორების ფენომენს, რომელიც ამ ქვეყანამ საკმაოდ ცუდად დასცადა, მას ასტროლოგიური კუთხით სულაც არ უნდა მივუდგეთ, რადგან მასში საკმაო, მაგრამ სულ სხვა სახის კანონზომიერებებია ჩაქსოვილი. აქარც პოლიტიკური ამბიციები და არც სხვა რამ არ თამაშობს იმდენად დიდ როლს, რამდენადაც ფინანსური ოლიგარქიების შეფარული ინტერესები, რომელსაც ასევე შეფარულად ახორციელებენ ეს უკანასკნელნი - ყველა პრეზიდენტი ხომ ჭიპით, ორგანულად არის მიბმული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე, პრეზიდენტის ოჯახური დინასტიის გაგრძელების შემთხვევაში კი, ეს კავშირი სუპერ-ორგანული ხდება და მომდევნოს უფრო მეტი შანსი ეძლევა წინამორბედის მიერ დაუსრულებელი საქმე ბოლომდე მიიყვანოს. ეს ბუში-1-ის მაგალითიდანაც ჩანს, რომელმაც სწორედ ახლო აღმოსავლეთი აქცია თავისი საბოლოო მიზნის, ანუ რუსეთის გავლენის სფეროების შესაკვეცპოლიგონად. ბუში-2, რომ მისი პოლიტიკის პირდაპირი გაგრძელება იქნება, პირადად მე ეჭვი აღარ მეპარება, ამას უკვე განვითარებული მოვლენებიც და საინფორმაციო საშუალებებში ერაყის საკმაოდ ხშირი ხსენებაც ადასტურებს.

ორი რუზველტი, კენედი და მისი ძმების საპრეზიდენტო ამბიციები, ბუშთა ოჯახური დინასტია... ამ ფატალურ გაორებებს ხან ,,პიერლ ჰარლბორი", ხან ,,კარიბის კრიზისი" და ხანაც ,,უდაბნოს ომები" მოჰყვა ახლო აღმოსავლეთში... მაგრამ გაიხსენეთ, ამ ჩამოთვლილი კატაკლიზმებიდან, რომელიმემ თუ გაომიწვია ამერიკაში გამანადგურებელი კრიზისიდა ნგრევა, ისეთი როგორსაც ჩვენ განვიცდით ყოველგვარი კატაკლიზმების და რყევების გარეშე? რაშია საქმე?! საქმე იმაშია, რომ ჩვენ ყველაფერი დავანგრიეთ ისტერიული გაყრის დროს, ყველაზე მთავარის ანუ ჩვენი კორუმპირებული მენტალიტეტის გარდა. პირველ რიგში კი, დავანგრიეთ სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის ასე აუცილებელი სახელმწიფოებრივი აზროვნება, რომლის გარეშეც სახელმწიფოს ვერ ააგებ, აღმოსავლური სიბრძნე კი ძველებურად ღაღადებს - ჯერ ახალი სახლი ააგე და მერე დაანგრიე ძველიო!

საუბარი ჩაიწერა
ქეთევან ჯაყელმა

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მოქალაქის პოზიცია

რატომ არ შენდება საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოებას საფუძვლად უნდა ედოს, პირველ რიგში, ეკონომიური თავისუფლება და საკუთრების ფორმათა მრავალგვარობა. ჩვენი კონსტიტუციის 30-ე მუხლი გვამცნობს: "სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა..." ჩვენში კი კლანური ფენების შეუზღუდავი თარეშია გამეფებული. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მართვის ბერკეტები მათ გადასცეს, ვინც თავის დროზე ეს დარგები გაანადგურა, ვინც ჩრდილოვანი ეკონომიკის ხარჯზე ცხოვრობდა. დემოკრატია ადამიანს საშუალებას აძლევს, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. ადამიანებს ეძლევათ თვითდამკვიდრების საშუალება. უნდა ბატონობდეს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმები და არა კლანი. ფეოდალიზმისა და მონათმფლობელობის ხანა ისტორიას ჩაბარდა, რაც ჩვენში ჯერაც არ გაუთვითცნობიერებიათ.

სამოქალაქო საზოგადოებას საფუძვლად უნდა ედოს ადამიანის ბუნებრივ უფლებათა უპირობო აღიარება, რომელთაგან ძირითადია სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების უფლება. "ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად ადამიანები ქმნიან მთავრობებს" (თ.ჯეფერსონი). დამოუკიდებელი სახელმწიფოს საფუძველია ხალხის ნება, რაც ვლინდება პერიოდული არჩევნების ჩატარებით, მოქალაქენი ამრიგად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში. "იქ, სადაც თავისუფლებაა, შიმშილი და სიღარიბე ვერ დაისადგურებს" (კამილ დემულენი). მხოლოდ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით შეიძლება მოქალაქეთა უმრავლესობა ჩავარდეს ისეთ დღეში, როგორც ახლაა. მშიერ უმრავლესობას წართმეული აქვს ღირსეული თანაარსებობის უფლება. ჯერ კიდევ უან-ჟაკ რუსო აღნიშნავდა: "ხალხს თავისუფლებას, მხოლოდ მმართველობის ბოროტად გამოყენება ართმევს". ე.შევარდნაძე ბრძანებს: "თუ სამართლიანობის პრინციპი არ დამკვიდრდა სახელმწიფოში, სხვა ყველაფერი დემაგოგიაა!"

სამოქალაქო საზოდადოების არსებობის ერთ-ერთი პრიციპი შემდეგში მდგომარეობს: ყველა ადამიანი თანასწორი უნდა იყოს კანონისა და მართლმსაჯულების წინაშე. ჩვენი კონსტიტუციის მე-14 მუხლი გვარწმუნებს: "ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორი..." სინამდვილე კი კოშმარულია, თითქმის შეუძლებელია, საქართველოს მოქალაქემ მიაღწიოს სამართლიან ვერდიქტს. ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს უზენაესი საბჭოს მოქალაქეთა მრავალწლიანი საჩივრების შემსწავლელმა კომისიამ დაასკვნა: "მართლმსაჯულების ორგანოებში გამეფებული მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია!" ჩვენში არა თუ მოსამართლე, პატიოსანი ადვოკატიც სანთლით არის საძებარი, ჯერ კიდევ დავით კლდიაშვილი მოიხსენიებდა "ხრიკიან ადვოკატებს, რომლებიც ორსავე მხარეს კერავდნენ". დღევანდელი საქართველო კი გაცილებით უარეს დღეშია. ხრიკიანია ჩინოვნიკთა უმრავლესობა, ცოდვა-მადლის გარჩევა რომ არ ანაღვლებს და მხოლოდ საკუთარი ჯიბის მხარეს კერავს.

არავის აღელვებს, რომ შიმშილით, სიცივით და უშუქობით, უდანაშაულო მოქალაქეთა სიკვდილის პირას მიყვანა, წესად დავამკვიდრეთ; რომ 5 ლარიანმა ვაუჩერმა მოქალაქე სიღატაკისგან ვერ იხსნა; რომ ფერნაცვალმა პარტნომენკლატურამ უსინდისოდ მიითვისა სახალხო ქონება და ასევე სახალხოდ ფლანგავს მას; რომ ვერ ჩამოყალიბდა მრეწველთა ფენა; რომ გლეხი ვერ გადაიქცა ფერმერად, არ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა; ნომენკლატურა ყოველგვარ ინიციატივას ძირშივე სპობს; დამოკიდებულ ადამიანებს მოქმედების შანსს არ უტოვებენ; მძვინვარებს რეკეტი და კორუფცია; რომ ხელისუფლების დასაყრდენი, ეკონომიკური ბერკეტი უნდა იყოს და არა პოლიციელის ხელკეტი.

სამოქალაქო საზოგადოებას აშენება უნდა და არა ქადაგება. მე შევახსენებ ყველას, რომ საშუალო ფენა ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს სტაბილურობის გარანტია. უნდა წარმოიქმნას წვრილ მესაკუთრეთა მრავალრიცხოვანი ფენა. კონსტიტუციული ვანდალიზმის და სოციალური ტერორიზმის პარპაში უნდა აილაგმოს.

შალვა მგელაძე

თბილისი - ᲓᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ (XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲛᲓᲔ)

I-IVსს.

ამჟამინდელი თბილისის ტერიტორიაზე პირველად გამოჩნდა ციხესიმაგრეთა კომპლექსი. აშენდა ციხე-სიმაგრე კალა (ნარიყალა) - თავდაცვითი ნაგებობების რთული კომპლექსი.

Vს.

თბილისის ტერიტორიაზე დასახლებანი დაარბიეს სპარსმა-სასანიდებმა.

Vს. მეორე ნახევარი

მეფემ ქართლისამ, ვახტანგ გორგასალმა, დააარსა დასახლების ადგილზე ქალაქი თბილისი.

VI ს. დასაწყისი

თბილისში აიგო ორი ციტადელი - ისანი, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და ნარიყალა - მარჯვენაზე. ამ ციტადელების გარშემო, ქალაქის მშენებლობა გაიშალა: ქალაქის ძირითადი ბირთვი – კალა, მარჯვენა სანაპიროზე და ისანი-ავლაბარი - მარცხენაზე. ვახტანგ გორგასალის მემკვიდრემ, დაჩი უჯარმელმა, გადმოიტანა ქართლის დედაქალაქი მცხეთიდან, თბილისში. აშენდა ანჩისხატის ტაძარი. თბილისში დაარსდა ეპარქია. თბილისი ხდება უმნიშვნელოვანესი სავაჭრო კვანძი, რომელიც აერთიანებს საქართველოს, ბიზანტიასთან, სასომხეთთან, სპარსეთსა და ინდოეთთან.

VI ს.

ერთ-ერთ 13 ასირიელ მამათაგანი-- წმიდა დავითი, აშენებს სენაკს და სამლოცველოს მთაწმინდის ფერდობზე.

VI-VII სს

თბილისში აშენდა სიონის ტაძარი., მშენებლობა დაიწყო გვარამის მეფობის დროს და დამთავრდა ადარნესეს მეფობისას.

სიონის კათედრალური ტაძარი გახდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია. ტაძარში ინახება რელიქვია - წმინდა ნინოს ჯვარი.

523 წ.

სასანიდთა ირანმა გააუქმა მეფის ხელისუფლება ქართლში. მეფე გურგენმა ეგრისს შეაფარა თავი.

თბილისსა და მთელს ქართლში დამყარდა სპარსელთა ბატონობა.

VI ს. მეორე ნახევარი

ქალაქი თბილისი მოხსენებულია ბიზანტიული ისტორიკოსის, თეოფანე მოძღვრის "ქრონოგრაფში".

VI ს. ბოლოს

თბილისი ხდება ქართლის საერისთავოს დედაქალაქი.

627 წ.

თბილისს ალყა შემოარტყა ბიზანტიელთა ლაშქარმა და ხაზარებმა. ქალაქელთა შეუპოვარი წინააღმდეგობის შედეგად, ალყა მოიხსნა.

628 წ.

ორთვიანი ალყის შემდეგ ხაზარებმა შეძლეს თბილისის



დაპყრობა. საქართველო ბიზანტიური გავლენის ქვეშ მოექცა.

VIII ს. 30-იანი წლები

თბილისი ხდება არაბეთის ხალიფას ამირას რეზიდენცია.

853 წ.

არაბთა ლაშქარმა, ბუღა თურქის მეთაურობით, დაარბია და გადაწვა თბილისი. როგორც არაბი ისტორიკოსი იუწყება, ხანძრის დროს დაიღუპა ქალაქის 50.000 მაცხოვრებელი.

1080 წ.

დაიწყო თურქი-სელჯუკების გამუდმებული თავდასხმები საქართველოზე. თბილისი დაპყრობილია თურქ-სელჯუკთა მიერ.

1122 წ.

თბილისი განთავისუფლდა თურქი-სელჯუკებისაგან, დავით IV აღმაშენებლის მიერ. დამთავრდა თბილისში მუსულმან ხელისუფალთა 400 წლიანი ბატონობა.

XII-XIII სს.

თბილისის მოსახლეობა აღწევს ასი ათასს.

1226-1230 წწ.

აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა ხვარაზმელების მიერ.

თბილისი დარბეული და განადგურებულია ხვარაზმელი უფლისწულის ჯალალ-ედ დინის ლაშქრის მიერ. დანგრეულია სიონის ტაძრის გუმბათი.

1236-1242 წწ.

აღმოსავლეთ საქართველოს იპყრობენ მონღოლები, თბილისი მონღოლების ხელშია.

1284 წ.

თბილისში დაფიქსირდა მიწისძვრა.

1278-1289 წწ.

მეფე დიმიტრი II თავდადებულმა მოახდინა მეტეხის ტაძრის რესტავრაცია.

1314-1346 წწ.

გიორგი V ბრწყინვალის მეფობის ხანა. მისი მეფობის დროს მონღოლებს შეუწყდათ ხარკის გადახდა. საქართველო და მისი დედაქალაქი განთავისუფლდა მონღოლთა ასწლიანი ბატონობისაგან.

XIV ს.

რომის პაპი იოანე XXII აღნიშნავდა, რომ "თბილისი, ქართული სამეფოს ცენტრი, წარმოადგენს საუკეთესო ქალაქს, მჭიდროდ დასახლებულს, მდიდარს, ცნობილსა და შესანიშნავს."

1510 წ.

თურქების შემოჭრა საქართველოში, მათ მიერ თბილისის დაპყრობა.

XVII ს.

თბილისში აშენდა პირველი გოგირდის აბანო, რომლის კვალი დღემდეა შემორჩენილი.

1625 წ.

თბილისის მოსახლეობა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად წინ აღუდგა ირანელ დამპყრობლებს, გიორგი სააკაძის წინამძღოლობით.

XVII-XVIII სს.

საქართველოში, შინაბრძოლის გამო, თბილისი, თითქმის ასი წლის განმავლობაში, შავ ზღვას ახალციხის გავლით უკავშირდებოდა.

1671 წ.

ფრანგი მოგზაური შარდენი აღნიშნავდა, რომ თბილისი წარმოადგენს აღმოსავლეთის ერთ-ერთ მჭიდრო დასახლების ქალაქს, თავისი მრავალრიცხოვანი, შესანიშნავი ტაძრებითა და საზოგადოებრივი ნაგებობებით, სავაჭრო მწკრივებითა და საქარავნო ფარდულებით.

1675 წ.

აშენდა ანჩისხატის ეკლესიის სამრეკლო.

1701 წ.

თბილისი მოინახულა ბოტანიკოსმა ტურნეფორმა. მისი ცნობით, თბილისში იყო 20.000 მაცხოვრებელი, 12 ეკლესია და 2 მეჩეთი.

1709 წ.

თბილისში დაარსდა პირველი სტამბა. ვახტანგ მეექვსემ საკუთარი სახსრებით გამოიწერა ბალახანიდან მოწყობილობა და ამ საქმის ოსტატები მოიწვია.

1710წ.

სიონის ტაძარი მოპირკეთდა ბოლნისის ტყავით.

1712 წ.

თბილისის სტამბაში პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი".

1735წ.

თბილისს იპყრობს ირანელი მხედართმთავარი, ნადირ-შაჰი.

1745 წ.

თეიმურაზ II, ზარზეიმით ავიდა ქართლის ტახტზე, ქრისტიანული კანონებით. ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოში მეფეთა ასწლიანი მმართველობის შემდეგ, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო უხდებოდათ მუსულმანობის მიღება.

1760 წ.

მეფე თეიმურაზ II თავის ამალასთან ერთად, თბილისიდან პეტერბურს გაემგზავრა, სადაც აღესრულა კიდეც, 1762 წ.

1762 წ.

თბილისი, ერეკლე მეორის მიერ გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს დედაქალაქი ხდება.

XVIII ს.

საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად, თბილისში ფეხს იკიდებს გაცხოველებული ურთიერთსაქარავნო ვაჭრობა ჩრდილოეთ კავკასიასთან, დარიალის ხეობის გავლით.

XVIII ს. მეორე ნახევარი.

თბილისში მოქმედებს იარაღის ქარხანა, ზარაფხანა, სტამბა, შუშის წარმოება, მარილსახდელი, საპონგამომშვები, .თოფისწამლის (დენთის) ქარხნები და სხვა.

1776წ.

დედოფალმა დარეჯანმა, ერეკლე მეორეს მეუღლემ, თბილისში აიშენა სასახლე "საჩინო"

1778წ.

თბილისში დაარსდა სკოლა რუსული ენის შემსწავლელთათვის.

1793 წ.

თბილისში აიგო სომხური ეკლესია, ნორაშენი.

XVIII ს. 90-იანი წლები

მეფე ერეკლე მეორის კარზე დაარსდა თეატრი გიორგი ავალიშვილის ხელმძღვანელობით. თეატრი და მისი დასი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დაიღუპა.

1795წ.

აღა-მაჰმად-ხანთან ბრძოლას ემსხვერპლა სამეფო კარის მსახიობი დავით მაჩაბელი.

ანჩისხატის ეკლესიასთან დაარსდა სემინარია.

თბილისის მატიანის შავი ფურცელი: კრწანისის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ თბილისში შემოიჭრა აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი.

300 არაგველთა გმირობა. ქალაქი გადაიქცა ნანგრევებად და ცეცხლის ალში გაეხვია...

(გაგრძელება იქნება)

მასალა მოამზადა სულიკო ხეტეშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალს ლოკოკინაც ტოვებს, კაცმა კაცური კვალი უნდა დატოვოს!

იპოლიტე ხვიჩია:



ხალხს ხომ უყვარდა და უყვარდა, ღმერთსაც ყვარებია – უხმოდ გაარიდა ჩვენს არეულ დროს. „ამ ამბებს რომ მოსწრებოდა, ალბათ, ყოველდღე მოკვდებოდა, რადგან აფხაზეთის დაკარგვას ვერ გადაიტანდაო", - იგონებს შვილიშვილი მანანა ხვიჩია. მისმა სახელმა დროს გაუძლო. ამ თაობას, ლამის ქართული კინო დავავიწყეთ, იპოლიტე კი ახსოვთ... ისევ გაიგონებთ პატარა ონავრებისაგან:

„იპოლიტე ხვიჩია, ფეხბურთელი ბიჭია, გაიტანა გოლი, გაახარა ცოლი..."

გაიტანდა, აბა, რა! მთელი სტადიონი მის მხარეს იყო – ხვიჩიას მიეცი, ხვიჩიას გაატანინე, არ ეიღო, თვარა დაგმარხავ მაგ კარებში, გამოდი, სულ გამოდი კარიდან! – ინგრეოდა თურმე ტრიბუნები ქუთაისის თეატრისა და გაზეთ „სტალინელის" ფეხბურთის გუნდების მატჩის დროს...

ოქრო კაცი, ტკბილი კაცი, იქნებ დარდიანიც, მაგრამ... ადამიანს თავისი დარდიც ეყოფა, მე რატომ უნდა დავუმატოო, - იტყოდა ხოლმე, სულ მალამოდ ედებოდა ყველას.

კანის ფეტისავლზე, „ბურთი და მოედნის" ხილვისას აღფრთოვანებულ უან გაბენს, რეზო ჩხეიძისთვის გადაულაპარაკებია – ეს რა გენიოსი გყოლიათო!

ვის აღარ ადარებდნენ – ბურვილს, ფერნანდელს, ტოტოს... ის კი იპოლიტედ, შორეული გალაქტიკის კაშკაშა, გიგატური ვარსკვლავის სახელით მოევლინა ქვეყანას და ამავე სახელით დაუბრუნდა დაუსაბამო სამყაროს. ახლა, მართლაც სულ ერთია, ხვიჩია იყო ეს ბუმბურაზი კომიკოსი, თუ ყვინჩია! აკი, თავადაც იოლად დასთანხმებია „ნათლიას", დოდო ანთაძეს, რომელსაც „ყ"-ს, „ხ"-დ გადაკეთება შეუთავაზებია – ერთი ოხერია, მაგენიო!

მრავალი შეფასებიდან ერთმა გამაოცა – ის, რასაც ბატონი იპოლიტე და ჩვენი კომიკოსები აკეთებდნენ იმ დროს, გმირობის ტოლფასი იყოო. ამის მთქმელი, იმ პერიოდში ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ვაჟი გახლავთ და იცოდა რასაც ამბობდა, მათ ხომ „ზევითაც" იბარებდნენ, „საყოფაცხოვრებო" შტრაფებითაც სჯიდნენ, მაგრამ ისინი უმცირესობას, მათზე უსაზღვროდ შეყვარებული ხალხი კი, უმრავლესობას წარმოადგენდა. მათი სიყვარული გარანტიაც იყო და მშვენიერი კომპენსაციაც – ქუთაისში ხვიჩიების სახლი დამკვრელური ტემპით, 5 დღეში ააშენეს ქუთათურებმა. მანქანებზე თურმე ახალი ნომრები ეყენათ, მოკლე წარწერით: „იპო" – გაბედავდა ვინმე და გააჩერებდა!

ამიტომაც განაგრძობდნენ „უმტკივნეულოდ" ცუღლუტობას სანდრო ჟორჟოლიანი, აკაკი კვანტალიანი, იპოლიტე ხვიჩია... და იქმნებოდა ერთმანეთზე უკეთესი, ჩეხოვის კალმის სადარი პერსონაჟები.

„იპოლიტე ხვიჩიას საშუალება რომ მისცემოდა და ქართული კლასიკა განეხორციელებინა ჩვენს ეკრანზე, არაერთ შედევრს შექმნიდა – მას საბჭოთა კონიუნქტურულმა ეკრანმა ექსპლუატაცია გაუწია", - უთქვამს ცნობილ მსახიობს ლეო ჭედიას. ჩვენმა ზღაპარმაც ბევრი დაკარგა მისი კოლორიტული ბუნების გამოუყენებლობით.

„იუმორი მისთვის მხოლოდ ხუმრობა არ იყო, იგი იპოლიტესთვის ყოფიერების ფილოსოფიას, ცხოვრებისეულ სიბრძნეს წარმოადგენდა. ეს არც ნიღაბი იყო... არაფერს იგონებდა. რასაც აკეთებდა, აკეთებდა „სიწრფოებითა სრულითა", - ამბობს ლევან სანიკიძე და სიამოვნებით იგონებს იმ ბედნიერ დღეებს, როცა მისი პიესა „ქუთათურები" ანშლაგით მიდიოდა ქუთაისისა და რუსთაველის თეატრების სცენებზე.

გთავაზობთ, რამდენიმე ნაწყვეტს იპოლიტე ხვიჩიას შვილის, ნუნუ ხვიჩიას წიგნიდან - „იპოლიტე":

„კინორეჟისორ გია დანელიას, „არ დაიდარდოს" გადაღება, რომ დამთავრდა, თითქმის მთელი გადამღები ჯგუფი მამამ ოჯახში მოიწვია. სახლში მოსული, ეროსის შეეხმიანა. მანამ სუფრას გავშლიდით, ეროსიც გვეახლა. დიდად მოილხინეს, ანეკდოტები, სიმღერები... ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ სერგო ზაქარიაძე და კოტე დაუშვილი, ბუბა კიკაბიძე და აბესალომ ლორია, გოგი ქავთარაძე და დოდო აბაშიძე, ეროსი და იპოლიტე...



სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა, მაგრამ ეროსი არ ეშვებოდა მამას – ამაზე დამიძახეო?! მამა იხმობდა ხოლმე დედას, „ხაჭაპუროვნას" (ასე ეძახდა ცოლს, სიყვარულით!) თავისთან და ჩურჩულით ახალ „შეკვეთას" აძლევდა. ლუბაც ამატებდა და ამატებდა ნუგბარ-ნუგბარს. ეროსი კი არ ცხრებოდა, მაინც თავისას გაიძახოდა. ბოლოს, გამწარებულმა იპოლიტემ „ხაჭაპუროვნას" უკივლა – ლუბა, დაკალი სიდედრი, შეწვი და მოართვი ეროსისო!..

სიდედრი რომ „დაჩაგრული" ყავდა იპოლიტეს, იქიდანაც ჩანს, რომ ნიფხავი აღარ შეარჩინა, „კუჭკუჭის" როლისთვის ააწაპნა და მისი სამართლიანი რისხვა დაიმსახურა: „რა იყო, ვერიჩა, შე ქალო, რა შეყარე ქვეყანა, შენ ჩაცმულს ვერავინ ნახავდა და ახლა ეს ნიფხავი მსოფლიოს მოიარსო"! – უთხრა. მართლაც მოიარა!

„იმ წელს, ცივი ზამთარი დაიჭირა. ბუხუტი ზაქარიაძეს ერთი ოთახი ეკავა, ვერაზე. ახალი ჩამოსულიყო იყო სოფლიდან, ჩამოეტანა გოჭი, ქათმები, ტყემალი, დედას პური... კარგად რომ იქეიფეს, იპოლიტემ წინანდადება შემოიტანა: „ტუალეტი ეზოს ბოლოსაა, მოდი სახლებში გავიქცეთ, ბუხუტიაც გადარჩება მისი ტუალეტიც და ჩვენცაო".

ღამის სამი სააათია. შევარდა იპოლიტე სახლში. ტუალეტში შესვლამდე ჩაიყო შარვალში ხელი, იქით მოიძია არაა, აქეთ მოჩხრიკა არაა, არადა იფსამს კაცი! სასოწარკვეთილი შეკივლება – ლუბა!

· რა იყო კაცო, რა მოგივიდა?

· რა და, შენ რომ რაიმეს ხელს მოკიდებ, რომ არ დაიკარგოს არ იქნება!.."

ამ და სხვა ბევრ საინტერესო ამბებს წაიკითხავთ ამ დიდი სითბოთი დაწერილ წიგნში.

სოფო ბოჭორიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევლამა, რევლამა, რევლამა...

მალე, მალე, მალე...

თქვენთვის კინომოყვარულებო!

2001 წლის ნოემბრიდან, გამოდის ახალი გაზეთი „კინომოზაიკა", რომელიც მეგზურობას გაუწევს კინომოყვარულებს კინოს საოცრებათა სამყაროში. იგი თანაბრად დააინტერესებს პროფესიონალსაც და მოყვარულსაც.

ქართული და უცხოური კინოს ცხელ-ცხელი ამბები, ინტრიგა და ანალიზი, კინოს გრანდები და დებიუტანტები, ყველა ჟანრი, ისტორია და დღევანდელობა, პროფესიონალთა რჩევები - რას ვუყუროთ საღამოს ტელეეკრანთან, და, ეს ყველაფერი 20 თეთრად!

ჩვენს გაზეთში თქვენ იხილავთ შემდეგ რუბრიკებს:

„მიაწვდინეთ ჩვენი ხმა..."

გაზეთის თანამშრომლები გააშუქებენ რედაქციაში შემოსულ წერილებს და მათში წამოჭრილ პრობლემებს, შუამდგომლობას გაუწევენ ჩვენს მოქალაქეებს მუნიციპალურ და სახელისუფლო სტრუქტურებთან, აწარმოებენ ჟურნალისტურ გამოძიებას, შეეცდებიან თანადგომა აღმოუჩინონ ჩვენს მოსახლეობას, მათი საკითხის დადებითად გადაწყვეტაში.

„მოქალაქის პოზიცია"

ეს რუბრიკა მთლიანად მკითხველს დაეთმობა. აქ წარმოდგენილი იქნება ჩვენი თანამოქალაქეების აზრი ჩვენს ყოფაზე, ქალაქის მუნიციპალურ მართვაზე, ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ სხვა სახის მოღვაწეობაზე, მათ მიერ დაშვებულ შეცდომებზე თუ თანამდებობრივი უფლებების გადამეტებაზე, მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე და სხვა.

„ჩვენი ეზო"

მოგითხრობთ თბილისის უბნებსა და ეზოებზე, მის მცხოვრებლებზე, მათ მეზობლობაზე, ტრადიციებზე, საოჯახო დღესასწაულებზე, საინტერესო ადამიანებზე, უბრალოდ, ჩვენს რიგით თანამემამულეებზე. მოგვწერეთ, გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები, მოგვაწოდეთ იდეები, რის წაკითხვას ისურვებდით ჩვენს, უფრო ზუსტად კი, თქვენს გაზეთში. მაშ, ასე, ძვირფასო თბილისელებო, ველით თქვენს გამოხმაურებას!

„მეეზოვე.."

რუბრიკა მოგვითხრობს ჩვენი ქალაქის დასუფთავების პრობლემებზე, მისი გარეგნული სახის შენარჩუნებაზე და საუკეთესოდ მოვლილ ეზოებზე.



გამომცემლობა „ჰორიზონტთან" შეიქმნა სარეკლამო სააგენტო, რომელიც გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურეობას:

კომპიუტერული მომსახურეობა;

სავიზიტო, მოსაწვევი და მისალოცი ბარათების, ტიტულოვანი ბლანკების და სარეკლამო ბუკლეტების დაბეჭდვა;

ფოტოსურათების გადიდება;

წიგნების, ბროშურების, გაზეთების დაკაბადონება და დაბეჭდვა უმოკლეს ვადაში;

გამომცემლობის ოფისში, არნოლდ ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს ქუჩა) N39-ში, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ საქალაქთაშორისო ტელეფონით, ფაქსით და ქსეროქსით.

ხანგრძლივი თანამშრომლობის შემთხვევაში, გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ფასდაკლება. სარეკლამო სააგენტოს ესაჭიროება სარეკლამო აგენტები. ჩვენი ტელ.: 99-57-09; 96-04-94 .

ორგანიზაციების და კერძო პირების საყურადღებოდ:

გსურთ მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული, დოკუმენტური ან, ენებავთ, უბრალოდ, ოჯახურ თემაზე შექმნილი წიგნის, ბროშურის ან სხვა სახის გამოცემის მომზადება, მაღალკვალიფიციურ დონეზე?!

თქვენ მოგემსახურებიან პროფესიონალი ჟურნალისტები, მწერლები, ისტორიკოს-ონომასტები, ეთნოგრაფები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. გაუკეთეთ საჩუქარი თქვენს ოჯახს, დაუტოვეთ შვილებს და შვილიშვილებს ერთ წიგნად აკინძული თქვენი ოჯახის და საგვარეულოს ისტორია, წინაპართა სახეები, მათი ცხოვრება, შემოქმედება და მოღვაწეობა.

* * *

გამომცემლობა „ჰორიზონტი", 2002 წლიდან, იწყებს ხელმოწერას, წიგნების სერიალზე, „დედაქალაქები". აღნიშნულ სერიალში მოთხრობილი იქნება. მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს დედაქალაქებზე, მათ წარსულსა თუ აწმყოზე, კულტურაზე, ყოფაზე. ჩვენი საკონტაქტო ტელეფონებია: 99-57-09; 96-04-94.

საკონდიტრო მაღაზიების, ტკბილეულის მწარმოებელი ფირმების და თბილისელი დიასახლისების საყურადღებოდ!

გაზეთი „დედაქალაქი" აწყობს საკონდიტრო ნაწარმის კონკურსს სახელწოდებით:

„ნუგბარი"

კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან საპატიო სიგელებით და ჯილდოებით. ცალკე მოეწყობა დიზაინის კონკურსი, თემა: - „ძველი თბილისი". დარწმუნებულნი ვართ, ჩვენი დიასახლისების და პროფესიონალი კულინარების ზღვა ფანტაზია, ნაირ-ნაირ ფერებად მოხატავს სადღესასწაულო ტორტებს, ტკბილეულს, ნამცხვრებს და ამ კუთხითაც წარმოაჩენს ჩვენი დედაქალაქის ფერადოვან კოლორიტს..

ნუ გაუშვებთ ხელიდან თქვენი ფირმის, მაღაზიის, ნაწარმის რეკლამირების საუკეთესო შანსს!

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა დაგვირეკეთ ტელეფონებზე ან მოგვაკითხეთ ჩვენს ოფისში: თბილისი, პუშკინის ქ 17, ან ჩიქობავას ქ. 39, ტელ. 99-57-09; 96-0494.

„ღამის თბილისი"

მოგითხრობთ ჩვენი დედაქალაქის მღვიძარ ცხოვრებაზე, მის რიტმზე, ღამეულ ზმანებებზე და ბოგემაზე, იმაზე, თუ როგორ ისვენებს დღისით გადაღლილი თბილისი, როგორ ერთობა, რა იყო და რა შეიცვალა!

„გამოაღეთ, ფანჯარა!"

იგი მოგვითხრობს რიგით თბილისურ ოჯახზე, მის ყოფაზე, პრობლემებზე, ტკივილსა თუ სიხარულზე, აწმყოზე, წარსულზე...

„ერისკაცები"

მოგვითხრობს ჩვენს სასახელო ადამიანებზე, ვინც არამარტო თავის ქალაქს, არამედ ქვეყანასაც ათი კაცის საკეთებელი გაუკეთა და არ დაამადლა.

„ცხელი ამბების დასტა"

თბილისური მითქმა-მოთქმა, ჭორი და მართალი, უბოროტო, მარილიანი ხუმრობები და ფუნაგორიები, ელიტარული ქრონიკა...

„ძველი აფიშა"

პრემიერები, ფესტივალები, კონცერტები, რეკლამები, რეკლამები, რეკლამები...

„იყიდე-გაყიდე, ქარვასლა..."

აქ თქვენი შეგიძლიათ განათავსოთ თქვენი რეკლამები, რომელიც ფერადი ჩანართის სახით დაერთვის გაზეთს, დარწმუნებულნი ვართ, ჩვენთან განთავსებული რეკლამა თქვენი საქმიანობის წარმატების გარანტი იქნება, გამოგვეხმაურეთ, ჩვენი ტელეფონებია: 96-04-94: 99-57-09.

„ამურის ისრები"

ყველაფერი სიყვარულზე, ახალგაზრდებზე, ოჯახზე... მიუძღვენით თქვენი სიყვაიულის ობიექტს ლექსი, სიმღერა... დაუნიშნეთ პაემანი ჩვენი გაზეთის საშუალებით, გვკითხეთ, გიპასუხებთ! მოვიწვევთ ფსიქოლოგებს, სოციოლოგებს. თქვენ პრობლემებიც ამური გვენდეთ - არ

პრობლემა გახდება, ცელქი მსხვერლნო, გიღალატებთ!

გაზეთ „დედაქალაქის" შემოქმედებითი ჯგუფი მადლობას უხდის გაზეთ „ჰორიზონტი"-ს დამფუძნებელს, ბატონ ავთანდილ ჯინჭველაშვილს, უანგარო თანადგომისა და ხელშეწყობისათვის. „რწმენა, ბიზნესი, ინტელიგენცია - მხსნელი ქვეყნისა" - თვლის იგი და ჩვენც კვერს ვუკრავთ. რისი დასტურიც ჩვენი თანამშრომლობაა. შედეგი თქვენს წინაშეა და ჩვენი გემოვნებიანი მკითხველის შეფასებას ელის. მოგვწერეთ, დაგვირეკეთ, ითანამშრომლეთ ჩვენთან...

გაზეთ „დედაქალაქს" ესაჭიროება პროფესიონალი სარეკლამო აგენტები.

პროექტის ავტორები: ალექსანდრე გურული და ქეთევან ჯაყელი
მთავარი რედაქტორი: ქეთევან ჯაყელი
კომერციული დირექტორი: ალექსანდრე გურული
კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ძულიაშვილი

ჩვენი მისამართია:
არნოლდ ჩიქობავას ქ. N39.
ტელ/ფაქსი: 96-04-94

გაზეთ „ჰორიზონტი"-ს დამატება.
რეგისტრირებულია
დიდუბე-ჩუღურეთის
სასამართლოში
N2/4-4-2272